



გაზეთის ფასი: ერთი წლით თფილისში 7 მან., ნახევარი წლით 3 მ. 50 კ.; თფილისის გარეთ ერთი წლით 8 მან., ნახევარი წლით 4 მან., სამი თვით 2 მან., თითო ნომერი - სამი შუერი.

სქლის მოწარმე მდიდრები: თფილისში - „წერა. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში და „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქ., № 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ“.

შინაარსი: საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე, მოსაუბრისა. - სხვა-და-სხვა ამბები. - შინაური მიმოხილვა, ა - ლისა. - კორესპონდენციები. - რუსეთის ცხოვრება. - საზღვარგარეთ. - რუსული ჰოიების უმთავრესი მომენტები მე- XIX საუკუნეში, ი. გომართელისა. - „ნე მიტყუო, საზიარო!“, მოთხ. იონა თლუღელისა. - მსოფლიოს ამბები, უცხოელისა. - რედაქტორ გამომცემელთა საყურადღებოთ, ასოთ-ამწყობისა. - ბიბლიოგრაფია. - უფრნალ-გაზეთებიდან. - წერილი რედაქციის მიმართ, ფ. ქარიძისა. - განცხადებანი.

„კვალის“ რედაქცია გადავიდა თეატრის ქუჩაზე, ანტანოვის შენობაში № 12, კადეტთა კორპუსის გვერდით.

საუბარი სხვა-და-სხვა საგნებზე.

III.

ყველასათვის აშკარაა ის გარემოება, რომ ჩვენი უფრნალ-გაზეთების ერთი ნაწილი თანდათან უკან მიდის და ყოველგვარი სალი აზროვნების ნიჟს და უნარს კარგავს. ჩემის აზრით, არა თუ ურიგო არ არის ხანდახან ამ დაქვეითების და უკან ჩამორჩენის ზოგიერთ მაგალითების დასახელება, არამედ ეს აუცილებლათ საჭირო ხდება. ამ ეპოქაზე მსურს შევჩერო მკითხველის ყურადღება ერთ ასეთ მეტათ თვალსაჩინო მაგალითზე. ეს მაგალითი მოგვცა ბ. ინ-ანმა ვაზ. „ივერიის“ ამა წლის № 151-ის მეთაურ წერილში. რაში მდგომარეობს ბ-ნ ინ-ანის სხენებული წერილის საგანი? „ივერიის“ იმავე ნომერში, რომელშიაც ბ-ნ ინ-ანის წერილია, მოთავსებულია მკირე შენიშვნა ბ. ვანო გიუნაშვილისა. ბ. გიუნაშვილი თავის წერილში აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ქართლში (და აგრეთვე კახეთშიაც, დავსძენთ ჩვენ) გლეხკაცობისთვის ფარაჯის ტარება საყოველთაო მოვლენათ გადაიქცა, ასე, რომ „თუ უწინდელი ქართლელი გლეხი იძახდა: „შე ვარ და ჩემი ნაბადი, გამთენებელი ღამისაო“, ახლანდელს ეპოქაში შეუძლია «ნაბადის» მა-



მისიელ იურის ძე ლეკმონტოვი (დაიბადა 1814 წ., გარდაიცვალა 1841 წელს).

გიერ «ფარაჯა» იხმაროსო. ამ მოვლენას, ე. ი. ქართლელი გლეხის მიერ ფარაჯის ასეთ შეთვისებას ბ. გიუნაშვილი ხსნის ერთი მხრით ქართლელი გლეხის ამ უკანასკნელ დროს მეტის მეტი ვალტაკებით და მეორე მხრით თვით ფარაჯის სიიფით. აქედან ცხადია, თუ როგორ მარტივათ და გულუბრყვილოთ დაუსვამს და გადაუჭრია ბ. გიუნაშვილს ზევით აღნიშნული საკითხი. მოსალოდნელი იყო, რომ „ივერია“ ამ გულუბრყვილო და მარტივი ახსნით დაკმაყოფილდებოდა და ფილოსოფიის ანუ ღრმა აზროვნების მორევში არ შეტოვებდა. სამწუხაროთ, იგი ასე არ მოიქცა: ქართლელი გლეხის ფარაჯამ „ივერია“ «ღრმათ» დააფიქრა და მან მოინდომა ამ ფარაჯის თავისებური ბრძნული თვლით განსჭვრეტა. და აი, სწორეთ ამ სიბრძნეში მოუვიდა მას საშინელი მარცხი: ამ ხნობით ეს საარაკო მარცხი ეკუთვნის საგნებით ბ-ნ ინ-ანს. ბ. ინ-ანი, როგორც ვთქვით, ღრმათ დააფიქრა ფარაჯის ამბავმა, მაგრამ ამ დაფიქრებას შედეგათ ის მოყვა, რომ მას სრულგვით დავთარი დაეხნა და ლოლიკა დაეკარგა. თანახმათ ბ. გიუნაშვილისა, ავტორი აღიარებს, რომ „ფარაჯა ჩვენის გლეხისათვის მაშელავათებელი ყოფილაო“. მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ უბრალო ფაქტიდან ბ-ნ ინ-ანს გამოყავს



შემდეგი დასკვნა: „მართალია, — ამბობს იგი, — ასეთი შეთვისება ფარაჯისა მხოლოდ გაჭირვების ნაყოფათ უნდა ჩაითვალოს, მაგრამ მეორე მხრივ (იგი) უტყუარი დამამტკიცებელია იმისი, რომ ჩვენს გლახს სპირიტუალის მისედევი სიგანთა შერჩევა და წაბაძვა-შეთვისება შესძლებია, და იქამდის ღრმად, რომ საუკუნოებით შეჩვეულ-შეთვისებულსაც კი ადვილათ თურმე უარჰყოფს, თუ ნახავს, რომ გარემოება უთუოთ ამას მოითხოვს, მეტი ღონე არა აქვს“. ე. ი. მოკლეთ რომ ვთქვათ, „ფარაჯის ჩვენის გლახის შეძლებისა და წაბაძვის ნიჭის ბეჭდობა“ (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). ამნაირათ ფარაჯის შეთვისებას ჩვენთვის განსაკუთრებით ის აზრი და მნიშვნელობა აქვს, რომ ეს შეთვისება გვიმტკიცებს ქართლელი გლახის «წაბაძვის ნიჭს», რომელიც იქამდის მიდის, „რომ საუკუნოებით შეჩვეულ-შეთვისებულსაც კი ადვილათ თურმე უარჰყოფს, თუ ამას გარემოება მოითხოვს“. ასე „ფილოსოფოსობს“ ბ-ნი ინ-ანი. ახლა ვიკითხოთ: წაბაძვის ნიჭი თუ ამ ზომამდეა განვითარებული ქართლელ გლახში, რათ მან ეს ნიჭი მხოლოდ ფარაჯის შეთვისებაში გამოიჩინა და სხვა რამეებში არა? ან შეიძლება, გარდა ფარაჯისა, ქართლელ გლახს სხვა არაფერი საჭიროება ჰქონდა? ჰქონდა და მერე რამდენი? თვით ბ. ინ-ანის სიტყვით „ჩვენი გლახის მეურნეობასა და ოჯახობაში ბევრი რამ არის დღეს ისეთი, რაიცა დაუყოვნებლივ სხვით შეცვლასა და შეთვისებას საჭიროებს, მაგრამ ჯერჯერობით ეს ძლიერ მძიმეთ და ნელ-ნელა ხდება; ჩვენს გლახსა და შესათვისებელს შორის თითქმის მთელი უფასოა“. მაშ რადაში მდგომარეობს ქართლელი გლახის წაბაძვის და შეთვისების ნიჭი? ბ. ინ-ანის ახსნით იმაში, რომ ამ გლახმა არავითარი მისწრაფება არ გამოიჩინა არც ახალი სისტემის სამეურნეო იარაღების შემოღებაში, არც საცხოვრებელი სახლების ჰიგიენურათ მოწყობასა და ჩაცმა-დახურვის გაუმჯობესებაში, არც საუკეთესო ჯიშის საქონლის მოშენებაში, არც მევენახეობასა და მებოსტნეობაში, მაგრამ სამაგიეროთ მან უარჰყო „საუკუნოებით შეჩვეულ-შეთვისებული ჩოხა-ახალუხ-ნაბადი და სულ უბრალო და იაფი ფარაჯა“ შეითვისა! აი, თურმე რაში გამოიხატება ქართლელი გლახის ღრმა წაბაძვითი ნიჭი! იგი ფარაჯას ვერ ვასცილებია! ერთი სიტყვით, ბ-ნი ინ-ანის შეხედულებით, ქართლელ გლახს რაღაც ფარაჯის მსგავსი, ანუ ფარაჯული ბუნება ჰქონებია! ბ. ინ-ანი უნდოდა ჩვენი გლახის ქება, და ამის მაგიერათ საშინლათ კი გამოლანძღა — დღემდის მას ფარაჯის მეტი ვერა შეუთვისებია რა!

შემდეგ ამისა ავტორი იძლევა ასეთ ღრმა აზროვან კითხვას: რა უნდა იყოს ამ მოვლენის მიზეზი, და პასუხათ აი რას ამბობს: „ჩვენი (ე. ი. „გონიერი“ ინტელიგენციის) პირდაპირი მოვალეობაა მაგალითითა, ცხოვრებითა, თუ ცდით ხალხს სწორე გზა გავუკვლიოთ, ახალს უკეთეს ცხოვრებას შევაჩვიოთ და განუფითაროთ ის ძვირფასი ნიჭი“, რომელიც მან ფარაჯის შეთვისებაში გამოიჩინაო. აქედან გამომდის, რომ თუ ჩვენს გლახს დღემდის ბევრი სასარგებლო და ცხოვრებაში გამოსაყენებელი რამეები ვერ შეუთვისებია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ინტელიგენციას ეს მისთვის არ უსწავლებია. ამას კი ის დასკვნა მოსდევს, რომ რადგანაც ქართლელ გლახმა ფარაჯა შეითვისა, ეს მას ინტე-


ლიგენციის მაგალითიდან უნდა გადმოეღოს, მისთვის უნდა მიებაძოს! ასეთია ბ. ინ-ანის ლოლიკა, და ჩვენ ნუაქვიათ. ნურას უკაცრავათ, თუ ასეთი ლოლიკა და მსგავსი ლობა სინამდვილეს სრულებით არ ეკარება. მართლა რომ ჩვენს გლახს განვლილი საუკუნის განმავლობაში ფარაჯის გარდა არაფერი შეეთვისებოდა, იგი მართლა სრულიად წყალ-წადებული და გამოსატირალი იქნებოდა. თავის-თავათ იგულისხმება, რომ აქ ყველა იმის ჩამოთვლა, თუ რა შეითვისა ჩვენმა გლახმა, ყოველად შეუძლებელია. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ახალი ცხოვრების ზეგავლენით, როგორც გლახი, ისე სხვა ელემენტებიც იძულებული იყვნენ შემოეღოთ ის, რაც წინეთ არ არსებობდა და სამაგიეროთ უარი ეთქვათ ისეთ რამეებზე, რაც წინანდელი ცხოვრების კუთვნილება იყო. მაგრამ რადგანაც ფარაჯის ამბავმა გამოიწვია ეს საუბარი, ამიტომ საჭიროა ცოტათი შეჩერდეთ ამ საგანზე.

ჩვენს „ღრმა-აზროვან ფილოსოფოსს“, ბ-ნი ინ-ანს, ჰგონია, რომ წინეთ ქართველი გლახი ჩერქეზულს, ე. ი. ჩოხას, ახალუხს და ნაბადს, იმიტომ ატარებდა, რომ მაშინ იგი ნახევარ დროს ბრძოლის ველზე იყო; და რადგანაც მუშაობას ეს ტანთსაცმელი არ შეფერის, ამიტომ გლახმა, რომელიც ახლა მხოლოდ შრომის უღელში ჩაება, იგი სხვაზე, ე. ი. ფარაჯაზე ვასცვალაო. ჯერ ერთი ისა, რომ შრომის უღელში ქართველი გლახი წინეთ ახლანდელზე არა ნაკლებათ იყო ჩაბმული. მეორეც, და ამაზე უმთავრესათ ვაქცევ მკითხველის ყურადღებას, წინეთ თითოეული ოჯახი თავისთვის იმზადებდა საჩოხე შალს და ნაბადს; დღეს კი ფაბრიკული ნაქსოვია გავრცელებული. ეს საოჯახო წარმოება თითქმის სრულიად მოისპო (მივარდნილ ადგილებში და განსაკუთრებით მთიულებში არის კიდევ დარჩენილი), ყიდვა კი ადგილობრივ დაზადებული საჩოხე შალების შედარებით ძვირათ ჯდება. ამიტომ რა ვასაკვირია, რომ მუშაობის დროს გლახი ჩოხა-ახალუხის და ნაბადის მაგიერ ფარაჯას ხმარობს, რაც შედარებით ძლიერ იაფათ ღირს, და ამასთანავე თუ ღარიბია, საგარეო ტანთსაცმელობის როლსაც ასრულებინებს. ეს გაუკვირდებათ მხოლოდ „ივერიის“ პუბლიცისტებს, რომლებმაც ნამდვილი ცხოვრების არა იციან რა, და სამაგიეროთ „ფილოსოფოსობას“ ჩემობენ. ჩვენ ვიცით, რას ნიშნავს იმათი «ფილოსოფოსობა», ე. ი. სრულ გაუგებლობასა და ულოლიკობას.

\* \* \*

სიმართლე მოითხოვს აღვიაროთ, რომ „ივერიის“ პუბლიცისტები რამდენიმეთ განიჩრჩვიან „ცნობის ფურცლის“ ახლათ მოვლენილი დევ-გმირისაგან, რომელსაც ეწოდების არჩილ ჯორჯაძე. ამ უკანასკნელს როდი უყვარს „ივერიის“ პუბლიცისტებსავით ღრმა, გაუგებარი და ბუნდოვანი ფრაზებით ლაპარაკი. ის ნათლათ და მართივით აყენებს კითხვებს, ასევე სწყვეტს იმათ. ის სულ სხვა საკითხია, თუ რა კითხვებია ბ. ჯორჯაძის მიერ წამოყენებული კითხვები, ან რა პასუხს იძლევა იგი იმათ შესახებ. ჩვენ აქ ვლაპარაკობთ ბ. ჯორჯაძის წერის მანერაზე, მისი ნაწერების გარეგან მხარეზე. სწორე მოგახსენოთ, ამ მხრით ბ. ჯორჯაძე კარგათ გაწვრთნილ სარდალს მოგვაგონებს, რომლის თითოეული ბრძანება დაუყოვნებლივ სრულდება ჯარისკაცების მიერ. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი სიტყვებიც ვითომც





ისე სრულდებოდა, როგორც სარდლის ბრძანება, მხოლოდ მისი კილო ისეთია, რომ სარდლის ბრძანებას მოგაგონებს. ავილოთ, მაგ., მისი წერილი «ძველი თაობა» («მოამბე», № VI, 1901 წ.). ავტორს სურს დაახასიათოს თ-ლი ილია ჭავჭავაძე, როგორც პუბლიცისტი, ამისთვის მას სრულიად საკმარისათ მიიჩნია პასუხი მისცეს მხოლოდ შემდეგ ორ კითხვაზე: „რა ნაირი, რა თვისებისა იყო ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მოძღვრება? რა მიმართულებას ადგა ის საზოგადოებრივ და ეკონომიურ კითხვების განმარტებაში?“ (გვ. 62). ბ. ჯორჯაძე გვირდება ამ ორი კითხვის გარკვევას, მაგრამ იგი ეხება რამდენიმე მხოლოდ პირველს და ერთ სიტყვასაც არ ამბობს მეორეზე.

ილია ჭავჭავაძის „პოლიტიკური სიმბოლო—ამბობს ბ. ჯორჯაძე—გამოისახება ეროვნული ცხოვრების აღორძინების საჭიროებაში“. ამ წინადადებას ავტორი ამტკიცებს ციტატებით ჭავჭავაძის სხვა-და-სხვა სტატიებიდან, საიდანაც ჩვენა ვხედავთ, რომ ილია ჭავჭავაძე მოთქმით და გოდებით უყურებდა იმ გარემოებას, რომ ქართველები რაც ხანი გადიოდა, სულ უფრო და უფრო იყოფოდნენ სრულიად ახალ ჯგუფებათ და კლასებათ. იმ ამონაწერებიდან ვხედავთ აგრეთვე იმასაც, რომ ილია ჭავჭავაძე, მსგავსათ თვით ბ. ჯორჯაძისა, სრულიად ამაოთ ეხებოდა იმ „საერთო ნიადაგს“, რომელზედაც უნდა შეერთებულიყვნენ ეს ერთი მეორის მოწინააღმდეგე კლასები. ამნაირათ, რადგანაც ბ. ჯორჯაძეც ამ «საერთო ნიადაგის» ძებნაშია, ამიტომ მან გამოუცხადა თავის ჯარს: „ჩვენ თითქმის შეუცვლელათ კლუბებში სასკემდეგანკლოთ ილია ჭავჭავაძის ეროვნულ პროგრამას“ (ხაზს ჩვენ ვუსვამთ). მაგრამ ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ბ. ჯორჯაძის და ი. ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამა ერთი და იგივეა? თუ ასე იფიქრებთ, ძლიერ შემცდარი იქნებით. მართლაც, რა არის ი. ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამა, რაში გამოიხატება მისი აზრით «ეროვნული ცხოვრების აღორძინება»? ე. ი. უფრო მარტივათ რომ ვთქვათ: რა შეადგენს ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამის შინაარსს? აშკარაა, რომ ეს შინაარსი უნდა ვეძიოთ ჩვენ ეკონომიურ კითხვების ასეთ თუ ისეთ განმარტებაში და ახსნაში. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ ჭავჭავაძე წინააღმდეგი იყო ბურჟუაზიული წეს-წყობილების განვითარებისა ჩვენში (თუმცა თავის პრაქტიკული მოქმედებით ძლიერ შეუწყობდა მის დამკვიდრებას ჩვენში); იგი ჰქადაგებდა, რომ ჩვენი ხსნა მხოლოდ მამა-პაპულ მეურნეობაშია, რომ გლეხები სოფლებიდან ქალაქებში არ გადასახლდნენ, რადგან იმ შემთხვევაში დიდი მამულების პატრონები უმუშახლოთ დარჩებიანო. გარდა ამისა ილია ჭავჭავაძე ჰქადაგებდა თავად-აზნაურობისთვის მეტი უფლება-უპირატესობის მინიჭებაზე, რადგანაც ამას, მისი აზრით, მოითხოვდა მთელი ქართველი ერის ინტერესები. ერთი სიტყვით, ილია ჭავჭავაძე იყო ჩვენში ნატურალური მეურნეობის დამცველი და თავად-აზნაურობის მებაირალე, ისე, როგორც ბ. ჯორჯაძე დამცველია ბურჟუაზიულ ურთიერთობათა და ქართველი კაპიტალისტების მებაირალე. ამნაირათ, ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამა სრულებით სხვაა, ვინც ბ. ჯორჯაძის პროგრამა; ამ ორ პროგრამას მხოლოდ სახელი აქვს საერთო, არსებითათ კი ისინი ერთიმეორის წინააღმდეგი არიან. გრძნობს

ამას ბ. ჯორჯაძე თუ არა? უეჭველია გრძნობს, რადგანაც პირდაპირ ეუბნება თავის ჯარს: „მისი (ი. ჭავჭავაძის) ეკონომიური პროგრამა აღარ გვაკმაყოფილებს და ამისთვის ჩვენ ვართ მანდომებულნი იმის ეროვნულ პროგრამას სსკა ეკონომიური, ჩვენა დროის შესაფერი, საფუძველი დაკუდვით“ (გვ. 64)\* (ხაზს ყველგან ჩვენ ვუსვამთ). ე. ი. ავტორი გვეუბნება, რომ ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამიდან მე მხოლოდ მის გარეგან კანს, ქერქს ვდებულობო; ხოლო რაც შეეხება თვით შინაარსს, ე. ი. პროგრამის სულისა და გულს, ეს კი „ჩვენი დროის შესაფერი“ უნდა იყოსო. ხოლო ჩვენ უკვე ვიცით, რომ „ეს ჩვენი დროის შესაფერი“ ნიშნავს წმინდა ბურჟუაზიულ მოძღვრებას. ყოველივე ეს დღესავით ნათელია. ჩვენ გვაკვირვებს მხოლოდ ის გარემოება, თუ რათ უღალატა ბ-მა ჯორჯაძემ თავის მანერას, თუ რათ შესცვალა მან წერის კილო? ე. ი. თანახმათ თავისი ეკონომიური პროგრამისა, პირდაპირ, შეუკიბ-შემოუკიბავათ, რათ არ უარჰყო ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამა? ან შეიძლება ეს ერთნაირი ხერხი იყოს, ბრძოლაში გამოსადეგი? ეს თუ ასეა, ჩვენ ძლიერ ვწუხვართ ბ. ჯორჯაძისთვის, რომ იგი ასე ჩქარა დამდგარა თავდაღმართ გზაზე!..

მოსაუბრე.

### სხვა-და-სხვა ამბები.

14 ივლისს დ. ხონში განსვენებულის ილია ხონელის (ბახტაძის) სულის მოსახსენებლათ გარდახდილ იქნა წლიური წირვა და პანაშედი.

ამავე დღეს შუამთის მონასტერში ეპისკოპოსის კრიონის განკარგულებით და მის თანადასწრებით გადაიხადეს წირვა პანაშედით გარდაცვალებულთა: ილია ბახტაძის, თ. რაფიელ ერისთავის და მიხეილ საბინინის სულის მოსახსენებლათ.

დღეს, 22 ივლისს, მადათოვის კუნძულზე დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ სადგომში დანიშნულია კრება ხსენებული ამხანაგობისა. კრება განიხილავს ნახევარი წლის მოქმედების ანგარიშს, მოხსენებას გამგეობის ორი წევრის შესახებ, მოხსენებას კრედიტის შოვნის შესახებ და სხვ.

დღემდის რუსეთში არ არსებობს განსაკუთრებითი დებულება, რომელიც საზღვრავდეს რკინის გზებზე მოსამსახურეთა უფლებებს. ახლა გზათა მინისტრის განკარგულებით დანიშნა განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს ეს საგანი.

როგორც ადგილობრივი გაზეთები იუწყებიან, ქიზიყიდან დაძრულა თფილისისაკენ დიდძალი მუშა ხალხი, რომელიც წრევანდელ მოუსაველობას ქიზიყში გამოურეკია გარეთ სამუშაოზე.

\*) მეორე ადგილას ბ. ჯორჯაძე ამბობს: „ამ პროგრამას (იულისხმეთ: ი. ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამა) ჩვენ უნდა დავემართოთ ჩვენი დროის შესაფერი ეკონომიური მოძღვრება, იმგვარი სოციალური ცხოვრების განმარტება, რომელიც ხშირათ ეწინააღმდეგება ილია ჭავჭავაძის ეკონომიურ შეხედულებას“ (გვ. 73).



ქიათურაში განუზრახავთ დაარსონ მუშათათვის იაფფასიანი სასადილო.

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა გამოუგზავნა თფილისის ქალაქის თავს საერო განათლების მინისტრის წინადადება თფილისში საშუალო ტექნიკურ სასწავლებლის დაარსების შესახებ. ამ წინადადებიდან ჩანს, რომ სამინისტროს განსაკუთრებულმა კომისიამ საჭიროთ დაინახა თფილისში სამ განყოფილებიან (მექანიკური, ქიმიური და სამთა-მადნო) საშუალო ტექნიკურ სასწავლებლის დაარსება, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ქალაქმა და ადგილობრივმა ბანკებმა გადასცენ მთავრობას ის თანხები, რომელნიც გადაუდვიათ ტექნიკურ სასწავლებლის დაარსებისათვის. გარდა ამისა, ხსენებულ კომისიის აზრით, საჭიროა დაარსდეს თფილისში დაბალი ტექნიკური სასწავლებელიც. რაც შეეხება თფილისში უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის დაარსებას, იგი, სხვა-და-სხვა მოსაზრებათა გამო, საჭიროთ არ იქმნა ცნობილი და გადაიდო სხვა დროისათვის. თუ რა ტიპის უნდა იქმნეს განზრახული საშუალო ტექნიკური სასწავლებელი და რა შემწევობას აღმოუჩინენ ამ სასწავლებელს ადგილობრივი დაწესებულებანი, ეს უნდა გამოარკვიოს ადგილობრივ სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა.

იურივეიდან გვატყობინებენ: ადგილობრივ უნივერსიტეტში ეგზამენები დაიწყება 21 აგვისტოდან. ამას გარდა, როგორც სარწმუნო წყაროდან შევიტყეთ, ყველა დათხოვნილი სტუდენტები მიღებულ იქმნენ და ეძლევათ ნება სხვებთან ერთათ დაიჭირონ ეგზამენები. არ მიუღიათ, როგორც ისმის, მხოლოთ სამი სტუდენტი.

ის ხმები, რომ სოფ. ბორჯომში (თფ. მაზრა) ცივ გამბორის მთების ახლო ნაეთის ქები მოიპოვებო, გამართლდა და საფრანგეთის კამპანია, რომელმაც გამოიძია ეს საქმე, უკვე შესდგომია მზადებას და მუშაობას. («Вѣст. гор. д. и ор. на Кавк.»).

ჩითახოვის ჩითეულობის ფაბრიკამ თფილისში შეაჩერა წარმოება, რადგანაც მის მიერ დამზადებულმა საქონელმა ვერ გაუწია კონკურენცია ლოდიდან და სხვა ადგილებიდან შემოტანილ საქონელს.

მიმდინარე წლის მაისის თვემდის აპშრონის კუნძულზე ამოულიათ ნაეთი: იანვარში 51.537,548 ფუთი, თებერვალში 48.733,427 ფ., მარტში 57.628,916 ფ., აპრილში 54.755,101 ფ. და მაისში 58.860,280 ფ., სულ ხუთი თვის განმავლობაში ამოულიათ 271.515,272 ფუთი ნაეთი. ამნაირათ, მაისში ამოულიათ შედარებით ყველა თვეებზე მეტი. შარშანდელთან შედარებით იმავე თვეებში წელს ამოულიათ მეტი თითქმის 50 მილიონი ფუთით. («В. гор. д. и ор. на Кав.»).

შინაური მიმოხილვა.

არა ერთხელ თქმულა ჩვენს მწერლობაში, რომ ქუთაისი თავისებური ქალაქია, მას მისი განსაკუთრებული კანონები აქვს ყველაფერში და ამ თავისებურობამ ქალაქის თვითმართველობაშიც იჩინა თავი. თურმე, ნუ იტყ-

ვით, ქუთაისს უთავობა მოხდენია. ასე გვარწმუნებს მწერ. ობ.“-ს ქუთათური კორესპონდენტი. ის წერს: ქუთაისის საბჭოს წელს თითქმის არც ერთი კითხვა არ დარჩენია გაურჩეველი, ყველაფერი გაარჩია და გადაწყვიტაო. გეხსოვებათ, მკითხველო, რა მძიმე კრიზისი ეწვია წელს ქუთაისს ამ მხრით. ჯერ იყო და მთელი გამგეობა პასუხის-გებაში მიეცენ, მერე განსაკუთრებით ისეთი პატივი სცეს მის მოურავს, რომ იძულებული შეიქნა თავის ნებით შეეტანა „ოტსტავა“, და ქუთაისი ოთხი თვე თუ მეტი მოუნდა ქალაქის თავის მოძებნას. მერე ახალი არჩეული თავი მხოლოთ საბჭოს ერთ სხდომას დაესწრო, მაგრამ საქმეები მაინც მოწესრიგებული ყოფილა და ახა ნუ იტყვით თავიანობას უთავობა სჯობიაო!

\* \* \*

კრიზისი დიდი ეწვია ქიათურასაც და მის მარგანეცის მწარმოებლებს, მაგრამ აქ «თავიანმა კაცებმა» უშველეს. წაიკითხავდით, რომ ქიათურას პატრონები გამოუჩინდნენ, ისეთი პატრონები, რომელთაც, ალბათ თავისი მჭევრმეტყველებით, ისე მოხიბლეს ბერლინელი კაპიტალისტები, რომ მათ აღარაფერი შურთ ქიათურელებისათვის: არ ზოგავენ არც ფულს, არც შრომას, ოღონდ ჩვენ მარგანეცს გასაყალი მოუპოვონ. რასაკვირველია, ჩვენი დრო ანგარიშის დროა, ტყვილა არაფერს არ შერება, და არც ბერლინელი კაპიტალისტები გაიზჯვებიან ტყვილათ, მაგრამ სამადლობო ის არის, რომ მეტათ მცირე გასამრჯელოს ჯერდებიან. ისინი იღებენ გაცემულ ფულზე 6% რომელიც ევროპის ბაზრისთვის ჩვენებურ 20%-ს უდრის და საკომისიოთ «მხოლოთ» წმინდა მოგების ნახევარს. იღებენ კიდევ მგონი «მხოლოთ» ერთ კაპიკს ვაყადულ ფუთზე, ეს არის და ეს. არ მოწონს ეს პირობები მხოლოთ ბ-ნ ემერიკს, რომელიც გამომდგარა და იძახს: ასეთი პირობები მწარმოებლების დამლუპველია და არა მხსნელიო. მაგრამ ემერიკს რა ესმის, ან კი რა მისაღებია მისი აზრი, როცა მთელი მწარმოებელთა კრების წარმომადგენელი კომისია, და მასთან ერთათ ბ. დავით ბაქრაძე, ამ ახალი სინდიკატის დაარსებით სინარულით ცასა წვდებიან, ბ. ახალ მოვლენილ მხსნელს გუნდრუკს უკმევენ. ალბათ მართლაც ასე ჯობს ქიათურისთვის. ნურც ის დაგაეჭვებთ, რომ დ. ბ. გვარიან კარგ საკომისიოს იღებს ამ საქმისათვის; ნურც ის, რომ სინდიკატში არ შედის ცნობილი «სოიუზი», რომლის წევრები ისე გულ მოდგინეთ ურჩევენ მწარმოებლებს პირობით შეეკრას. ეს სულ სხვა...

\* \* \*

ვერ შეიქნა კარგი ფეხის ქიათურას ექიმების დებიუტი. დღე ერთია და წერილი ხუთი მოდის ექიმების მოქმედება-მოღვაწეობის დასახასიათებლათ პროვინციიდან. ვინ რას ჩივის და ვინ რას, მაგრამ ჩვენ ვერ ვიკისრებთ ყველას გამოკვეყნებას. დაგებქდავთ გურული ექიმის ბ. თიკანაძის საგმირო მოქმედებას, რომელიც რაღაც უზრალო ყინისთვის იძულებულ ხდის ავადმყოფს მეორე დღემდის გადადვას ექიმისგან დახმარების მიღება, მეტ ხარჯში შეჰყავს იგი და თვითონაც მეტ შრომას აძლევს თავს. გაუგებარია ასეთი საქციელი, ისე, როგორც წარმოუდგენელია მისი ზრდილობა. ვიცით, რომ პროვინციაში შეწუხებულია ექიმი, ცუდ პირობებშია, შეიძლება ბევრი შრომაც ხედება, მაგრამ ასე ყინის აყოლა, ავადმყოფის ასე უზრალოთ დასჯა მაინც გაუგებარია.



სასიამოვნო ამბები დღეს ისევ ქიათურიდან მოდის. კრიზისის გამო მოუტლიათ იქაურ მოღვაწეებს და შედგომიან მრეწველთა უკანასკნელი კრების გადაწყვეტილებათა განხორციელებას — შრომელი ხალხისთვის ზოგიერთ აუცილებელ დაწესებულებათა მოწყობას. სახალხო თეატრმა ქუთათური კომისიის დახმარებით კიდევ აიღვა ფენი. ახლა აზნაოსთვის ეძებენ ადგილს, ფიქრობენ იაფ ფასიანი სასადილო გახსნან, გვპირდებიან სახალხო კითხვების დაწყებას და სხვ. სამწუხაროთ, ყოველივე ეს ჯერ კიდევ ვერ გაცილებია მომზადებითი საფეხურს, მაგრამ, იმედია, მალე განხორციელდებიან. სასურველია მხოლოდ, რომ საქმე ნამდვილ გულ-შემატკივართ ჩაუვარდეთ ხელში და არა ისეთებს, რომელნიც მხოლოდ სხვა-და-სხვა მოსახრებით ეტანებიან ასეთ საქმეებს.

ა — ლი.

### კ ო რ ე ს ზ ო ნ დ ე ნ ც ი ე ბ ი.

**მსახერხი.** ესენტუევი ერთი იმ ოთხ გერმანულ-გაგაგასიაში, რომლებსაც რუსეთი სამართლიანად ამოუბს. ესენტუევის გარშემო ბუნება არ არის მდიდარა. მთებ-გორაკებსე და თვალუწვდენელ სათიბ-სასწავებსე ერთ ხეს ვერ დაინახავ; სამაგიეროთ ესენტუევის სამეურნალო წყლები შესანიშნავი არიან და ამ მხრით ის ყველა გერმანულსე უფრო მდიდარია. წყლები ბევრ ადგილს ამოდის და ყველგან მდიდრულად მორთული ფარდულები და სასლები ამეხებულა. წყლები საზინისა და გამკობა უოკელ ღონისძიებას სმარობს ეს სიმდიდრე არაფერმს დაზიანის: მაგალითათ, ესენტუევი აკრძალულია ჭის მოთხარ და რადგანც მიღებით გამოეგანილი წყლი ფულზე იუიდება, ამიტომ უმეტესი ნაწილი ადგილობრივი მცხოვრებლებისა მდინარების წყალს სვამენ. მდინარე მდგრიე, ჩავარდნილ და ვაკე ადგილებზე მოდის, და შუა ესენტუევი ციება ისეთივე აუცილებელია, როგორც რომინს ჭალებში. დიდი ზარკი, რომელშიაც წყლებია, გარშემო ქუჩებით მდიდრულად მოწყობილი და ელექტრონით განათებულია. სიძვირე ესენტუევი ისეთია, რომ დმერთმა დაიფაროს ღარბი ავითმეოფი აქაურობისაგან! ექიმები აქ ბევრია, მაგრამ მიუსედავით ამისა, თუ ექიმს რევიისთვის მანეთი შეკადრე, მეორეთ მასთან ნულარ მისვალ! მდიდრებისაგან განუბიურებულები არიან და ღარბები ფეისებსე ჭკიდათ. საგარაკოთ და საექიმოთ აქ უმეტეს ნაწილათ რუსები მოდიან, შემდეგ სომხები და ქართველებს აქ ორ-სამს თუ შესვლება.

გავიაროთ ზარში, სადც დილა-სადამოობათ ოპერის ორგანტი უკრავს და სხვა-და-სხვა შემსუნს წყლებს მოთხოვნი-სამებრ გაწვდიან სუფოთათ ჩანძიული ზატარა ჭალები, რომელთაც წყლების ადმინისტრაციის დიდის 5 საათიდან სადამოს 8 საათამდე სამსახურისთვის სამ-სამ მანეთს აძლევენ თვეში.

ვინ შეადგენს აქაურ მოგზარაკეთ? აი მოხრწინავს ღენკალი, თან მოყვება ერთი ან ორი ზოლგოვნივი. აი მოგორავს კიდევ ვანიებული რუსის ვაჭარი; ვეებერთელა ფაშვიდან გადმოშვებული სერთოვის კალთები მალაქ ყელთან ჩექმებსე ეფაროსუნება, ნიკაში არა აქვს და მის ალაგას სამეგრეო ღაზაბი ჭკიდათ, მას თან მოსდევენ გვერდზე და ცოტა უკან იმნიანკსვე ტანისამოსში ჩანძიული, მაგრამ ნაკლები ტანის, სხვა ვაჭრები და მის იშვიათ სიტყვებს სასოებით უფრს უგდებენ. ავტრ სვამსე მძიმეთ ქშენს რაღაცა, შავი აბრეშუმის ტანისამოსში, ოთხი კარის სავდომი სვამი მარტო ამას

დაუჭერია თავისი სისხოთი და, თუ ახლოს მიდი, შეუკრავს, რომ ეს 40 - 45 წლის დედაკაცია, მსხვილ თითებში მარგალიტისა ოქროს ბეჭდები ისე ჩაფლულან, რომ მათი წაძრობა უოპრაციოთ შეუძლებელია, სასე ოფლით გასოქიას და გამეჯელს ისეთი შესაბრალბელი სასით ასედავს, თითქო ესევეა, ეგებ რამე უშეგლო ამ ჩემ სიმსხოსო. ეს სხვისი შრომით დაქონებული ადამიანები, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, აქ ჩამოსულან ქონისაგან გასათავისუფლებლათ და ფიქრობენ, მოსვლისას რომ 14 ფუთსა და 25 გირვანქას იწონიდენ, ეგებ წასვლისას 10 ფუთამდე მანც დავიდო. ქონის მოკლების რა მოგასუნოთ და მათ ჯაბეს რომ მოაკლდება გვარისათ (თუძცა მათთვის ეს შესამხნევი არ იქნება), ეს ცხადია.

აქ სხვა სურათებიც არის. აი თუნდა ეს ჩამომსმარი, გაუვითლებული ძვალი და ტვაი, ბუჭთან რომ ზის, თვალბი ჩავარდნია, ცხვირი წავრძელებია და ტუჩებს სშირათ აცმაცუნებს, თითქო ჭაერი აკლიაო, სელში ჭიჭა უჭირავს — ესეც აქ განვურნებას ეძებს. მთელი თავისი ძალ-ღონე ლუკმ-პურისთვის დაუღვეია, მასწავლებლათ ყოფილა, თავი მიუნებია და ესეა გავევითლებით სულს იბრუნებს. ტუბილია სიცოცხლე! აქ მას ნოტიო ბნელი ოთახი უჭირავს 40 მანეთათ თვეში, სამ იმდენს ექიმებს და წამლებში აძლევენ, რძითა და კვერცხებით იკვებება და იმედს არ კარგავს გამოგზრუნდებო. ფარდულის წინ უკანასკნელ მოდაზე გამოფრანტული ასოვანი ვაჟბატონი დასეირობს «Московскія Вѣдом.» ან «Южный Край»-თ სელში. ამას არაფერი არ აკლია და არავითარი სხეულება არ აწუხებს, მხოლოდ არ იცის, ფული სად დაბნოს, რადგანც მთელი ქვეყანა მოიარა და ვერსად სულის სიმშვიდე ვერ მოიპოვა და ახლა ფილანთოფოსობს, სიცოცხლე უახრობაო. სიცოცხლე-გასკასი გაისმა სმამდლა და თან რამდენიმე ბოხმა სმებმა ზანი მისცეს. ეს ის წელში გაწვეტილი ქალია, «Родина»-ს დამატება რომ უჭირავს სელში ვერ გაუჭრედი; ქმარი სხვა გერმანულსე ჭეუას და სამი აფიცური და ერთი შატისე ეხასხებან. ესენიც აქ ეძებენ... ზოგი რას და ზოგი რას!

მაგრამ მათ თვალს ავარდოთ და წავიკითხოთ ეს აფიშა: «ესენტუევი, მთავრობის ნება-დართვით... «წითელი ჯვარის» სასარგებლოთ ადგილობრივი სტენის მოყვარენი და სხვა და სხვა». ასეთია აქაური საზოგადოება უმეტეს ნაწილათ.

თვითონ სტანიცა ესენტუევი ძალაან დიდა 15,000 მცხოვრებლებით (მოაგარაკეთა გარდა) და რუსეთის სოფლებისაგან იმითი განიარჩევა, რომ აქ მხოლოდ ერთი უკლესია. მცხოვრებლები უზასუბი არიან (казаки), ისტორიულათ თავისუფლებას ჩვეულები, ბატონ-უმობის არ მცოდნე თავის დღეში, აუარებული სასხავ-სათიბების ზატრონი სალსი. ეს მიწები მათ მთავრობამ არ წართვა და ამ წყალობისთვის იძულებული გასდა ყველა 21 წლის უზასი გავიდეს სამხედრო სამსახურში სუთი წლით თავისი ცხენით და ტანისამოსით. მათი საზრხო-საბადებელია თივა, რომელიც იმდენი მოდის, რომ ადგილობრივი მუშა სელი არ ვმარა და ბევრი რატკელი გადმოდის აქ თიბათვეში სამეშაოთ. უზასებს გარდა, აქ სამი სხვა-და-სხვა სექტა ცხოვრობს. შგოლა მთელ სტანიცაში ორია და არ ავთყოფილებს არც მესადს მთელი სტანიცის მოთხოვნილებისას. უმაწვილება ზატარობიდანეუ ქიკვიან ცხენონობას და მომავალში სამშობლოს ესრდება გაწვრთნილი მხედრობა, დედ-მამის ნუგეში და ქვეყნის სასარგებლო.

ესენტუევიდან რომ სამსრეთისკენ გაისედავ, საუცხოო სურათს დაინახავ: აზვირთებულ მთა-გორაკებს გადადმა მო-



ჩანს თოვლით დაფარული ბუჩქნარები ორ-თავიანი მთა; ეს არის კავკასიონის ქედის მეფე — იალბუზი. იშვიათად შესვლად მას გადიმბუღეს; სულ შავ ფიქრებშია გასვეული და მსოფლიო დილით მზის ამოსვლამდე მისი სწეტავი სასურავი ნა. ლათ გამოისტებს მტრედის ფერ ცაზე. როგორც ვა მზე ამოიწვეს და განათებს მიდამოს, იალბუზი, თითქო სმაგს გარშემო უგულაფრო, იმავე წამს მოიხვევს თავს ბურუსით და მზის ჩასვლამდე უგულაფერს თვალს არიდებს.

3. ბ.

**წიკჰვალის საზოგადოება (შოკაძის მხრად).**

წიკჰვალის საზოგადოება შესდგება ათი სოფლისაგან: წიკჰვალა, ბოდი-უორნისი, ხალიფაური, ღვიძევი, ღვრეკეთი, ჭალუანი, ზედუბანი, ვაკევისა, სვაშითი და ვანი. მცხოვრებთა რიცხვი ამ სოფლებში იქნება ათას ორას კომლამდე. უმეტესობა გლეხობაა, რამდენიმე აზნაური და ერთიც თავადი სიმონ წერეთელი. ამ სოფლებს ერთად ზედმეტი სასული ქვია «სახატონაშვილო». ეს სოფლები სწავლა-განათლებით ძალიან დაცემული არიან. ბევრი რამ გვეჩინა სწავლა-განათლებლის მხრით, მარა სმის გამცემა კაცი არა გვევს; არა გვაქვს არც სემიარსელო, არც წიგნ-საცავი, არც საკვიარო სკოლა და არც ბანკი. არსებობს აქ მსოფლიო ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა და ისიც ძლივს ცოცხლობს; კარგი იქნება, რომ ამდენ მცხოვრებლებს გავისწავლოთ კვლევისთვის სამრეწოლო სკოლებს და სამინისტრო სკოლას ორ კლასიანთა გადაკვიკეთებდნენ.

რაც შეეხება მოსავალს, უგანსკენლმა გოლკამ ძალიან ზაალი მისცა პურებს, სიმინდი კარგაერობით ბლასათ კარგია; ვენასები, ვინც ადრე უწამლა, კარგია და ვინც არა, ძალიან დაწვა ჭრამა. საზოგადოთ ღვინის მოსავალმა ძალიან იგლო. ხალხი უფრო სენა-თესვას მისდექს, გარდა ხალიფაურის, ღვიძევის და ღვრეკეთის, ესენი ვა უფრო მარგანეში მუშაობენ, მარა რაა, თითო კვირის ნამუშევარს კვირა-უქმე დღეს შეჭამენ ჭიათურაში. ტყე და ბლასი სომ არა გვაქვს სრულეობით; ზაფხულეობით პირუტყვებს მთებზე გარეკენ სოლმე და საბლასოს პატრონებს აჯარას აძლევენ. შეშის სასარბი მარტო ერთი ვინას სასარბინო მთა არას, მარა რა გამოკვდა, უგულას სომ არ ეუოფა ეს მთა, ჯერ იმითი, რომ წელიწადში 10—150 საყენის მეტი შემა არ გამოდის და ამასაც რიგზე არ ანაწილებენ, ზოგს 4—5 საყენს აძლევენ, ზოგს სულ არა. ბევრი უიდას კიდეც აქედან გამოტანილ ტყეს მადნებისთვის. კარგი იქნება ბატონი ტყის უარული სამართლიანათ განაწილებდეს და არ მისცემდეს თვითეულს გლეხს ერთი ან ნახევარ საყენის მეტი. გზები სომ არ გვივარგა და არა, ერთი რიგინი გზა არა გვაქვს არც მთაში შესასვლელი და არც ბარში. კარგი იქნება ურადლებას მიაჭრეკდეს ამას ვისიც კერ არს.

ბოდ-უორნისელი.

**სოფ. იანეთი (ქუთაისის მხრად).**

კვირას, 14 ივნისს, აგურთსეს იანეთის ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლას. ამავე საღამოს ვა სკოლას სასარგებლოთ გამართული იყო სვირნობა და იაფ-ფასიანი წარმოდგენა დიუკრტისმენტით და ცოცხალი სურათებით. ამ წარმოდგენის ინიციატორი იყო ბ-ნი პოლ. ღორთქიფანიძე, რომელმაც დიდათ ასიამოვნა ხალხი როგორც წარმოდგენით, ასე ცოცხალი სურათებით. წარმოდგენამ შეენიერათ ხალხს. დიდს მადლობას ვწირავთ რო-

გორც კერძოთ ბ-ნი პოლ. ღორთქიფანიძეს, რომელმაც არ დაზოგა არავითარი ხარჯი და შრომა ამ წარმოდგენის გამართვაში. ისე ბ. ი. ცქიტიშვილს, ი. სეთურელს, ან. შუბლაძეს და ბ. გელახანას, რომელთაც გულმსურვალე მონაწილეობა მიიღეს ამ წარმოდგენაში. იმედა ეს ხალგაზდანი არც შემდეგში დაიშურებენ თავიანთ შრომას ხალხის და კერძოთ მოსწავლე ხალგაზდობას საკეთილდღეოთ. როგორც ბლში, ასე წარმოდგენის დროსაც უგულად რეინის გზის მუსიკა, რომელიც მოწვეული იყო დ. სამტრედიდან მასწავლებლის მიერ.

ეს პირველი წარმოდგენა იყო ჩვენ სოფელში, მაგრამ ხალხი მანც ბევრი დაესწრო და არც ისე გულცივად შესვლდნა, როგორც მოსალოდნელი იყო; სკოლის დარბაზი და მთელი ბლკონი გაჭკდილი იყო ხალხით და რომ ადგილი გვეჩნებოდა, მგონი, ერთი იმდენი კიდეც დაესწროდა. ამ პირველმა მაგალითმა გამსწავლა ჩვენი ხალგაზდა მასწავლებელი და აღუძრა სურვილი ამ ზაფხულს ორჯულ მანც კიდეც გამართოს იაფ-ფასიანი წარმოდგენა დიუკრტისმენტით, რომ ხალხს უფრო მეტად გაუღვიძოს სწავლის სურვილი და სკოლის სიყვარული. იმედა ამ სურვილს საკეთილდღეოთ განსორციელებს ჩვენი ხალგაზდა მასწავლებელი და ზოგიერთ სოფლის მასწავლებლებით უსარგებლოთ არ დაკარგავს დროს და არ დარჩება ხალხში სრულიად უმნიშვნელოთ.

აღ. კობრეიძე.

**რუსეთის ცხოვრება.**

ივანოვო-ვოზნესენსკის რაიონის (მოსკოვის მახლობლათ) ფაბრიკანტებმა და მეჭარხნებმა დაარსეს თავიანთ ავთიმეოფ მეუშებისათვის საურთიერთო დამზღვევი საზოგადოება. ასეთი საზოგადოება ჯერ პირველია რუსეთში. ამ საზოგადოებაში შედის 10,000 მეშა.

გარშავაში არსდება ხალი საზოგადოება შრომის და სამუშაოს მოსაბოველოთ. ამ საზოგადოების წესდება ჩქარა წარდგინება მთავრობას დასამტკიცებლათ. საზოგადოების მიზანია სამუშაო მოეზოვოს უოკლეკარ შრომების მწარმოებელ ხალხს, რისთვისაც საზოგადოება იქონიებს გარშავაში ცენტრალურ კანტონას და პოკინციალურ ქალაქში ავენტებს და აგრეთვე გამოსცემს თავის ორგანოს («Пр. Мир.»).

ქ. ვილნოს პოლიციისტურს ბ-ნი ნახიძოვს, გამოუცია შემდეგი ბრძანება ქალაქის პოლიციის მიმართ: «პოლიციის დახალი მოსელენი იტყვენ რა ქენასე მცხოვრებთ სიმთვრალის ან სხვა მიზეზების გამო, პოლიციაში მიყვანის დროს ეტყვიან იმათ ძლიერ უზრდელათ და ზოგიერთ შემთხვევაში სცემენ. იმათ (პოლიციის მოსელეთ) არ ემცნევათ არავითარი ზრდილობა და თავაზიანობა საზოგადოების მიმართ. ვაფთხილება, რომ ამისთვის დაისჯებიან სასტკავით. ამ გაფთხილებაზე გაჭეკვ აგრეთვე უბნის ზედამხეველთა (ОКОЛОТЧНЫЙ надзиратель) ურადლებას, რომელთაც ვურჩევ აგრეთვე, რომ თე სურთ ასეიანთ თანამდებობათა შენარჩუნება, საზოგადოებას ზრდილობიანათ მოექტენ და ასეთივე განწოებილება ჩაუნერგონ დახალ პოლიციის მოსელეებსაც. მაგრამ რადგანაც უოკლეკე ეს დამოკიდებულა თვით ბოჭაულზე, ამიტომ იმედი მქვს, რომ ბოჭაულები საჭირო ზომებს მიიღებენ ასეთ არასასამოუნო მოკლენათა თავიდან ასცილებლათ».

ურთიგო არ იქნებოდა ჩვენი პოლიციის გამგენიც მიაჭრეკდენ ურადლებას ასეთ განკარგულებას.

შეტეობურგის ერთი მეჭარხნის წინადადებით მეშებსა და ქარხნების სხვა მოსამსახურეთა შორის გაიმართება სკოლის-



აწერს საჭირო თანხის შესადგენათ, რათა ჰეტეროგენში და-  
არსდეს საზოგადოება, რომელსაც მიზნათ ექნება მუშებს და-  
სმარება აღმოუჩინოს პროფესიონალურ განათლების მიღება-  
ში. განზრახული საზოგადოების მოქმედება გამოისატება უწი-  
ნარეს უფლისა კურსების მოწეობაში, სადაც წევრებს უფუ-  
ლოთ ასწავლიან პროფესიონალური სელექციებისთვის საჭირო  
საგნებს, როგორც, მაგ., პირველადწევებით მათემატიკას, გეო-  
მეტრიულ და ტექნიკურ სატყვას, ფიზიკას, ქიმიას და მექა-  
ნიკას და საზოგადო განათლების საგნებს და ჰიგიენას. ვინც  
კურსს დაასრულებს, დიპლომი მიეცემა. კურსებთან დასრულებ-  
ლი იქნება უფასო სამკითხველო და წიგნთ-საცავი, ბიურო,  
რომელიც დასმარებას აღმოუჩინს წევრთ ადგილის მოსანასათ  
და საერთოერთო დამსმარებელი კასა. განზრახვა აქვთ აგრეთვე  
იქონიონ ამ დაწესებულებასთან მედივი სამკურსალო და იური-  
დიული რჩევა-დარიგება (კონსულტაცია). იურიდიული კონსულ-  
ტაცია ივისრებს განსაკუთრებით მუშებსა და მეფაბრიკეთა შო-  
რის სადავო საქმეების წევრებს.

ს ა ზ ლ ვ ა რ - გ ა რ ე თ .

**საზრუნავი.** საფრანგეთის ცხოვრებიდან აღსანიშნა-  
ვია გენერალური რჩევების არჩევნები, რომელნიც დასალოკებით  
განხილვებენ მომავალ საპარლამენტო არჩევნების შედეგსაც. ამ  
არჩევნებში გამარჯვებული გამოვიდა ასლანდელი სამინისტროს  
პარტი (მემარცხენი), რესპუბლიკის დამცველი. რეპრეზენ-  
ტებმა დაკარგეს 50 ადგილი, რომელნიც რესპუბლიკელთა სელ-  
ში გადავიდნენ. დიდ უურადლებას აქცევენ ამ არჩევნებს საფრან-  
გეთის უველა პარტიის გასუთები. საკვირველი ის არის, რომ  
უველა გამარჯვებულთ თვლის თავს, და უველა თითქმის კმა-  
ყოფილად, თუმცა რეპრეზენტთა დამარცხებ: აშკარაა. მათ გა-  
უშავს ასეთი წარმომადგენლები, როგორც მედენის კაბინეტ-  
ში მინისტრათ ნამყოფი რამბო, დიუბუის კაბინეტის მინის-  
ტრი ლებრე და სხვ.

**ბელგია.** მიწათმოქმედების მინისტრმა გამოაქვეყნა არა-  
სასიამოვნო ცნობები მეურნეობის შესახებ. 1880 წელს მე-  
ურნენი შეადგენდნენ 21,77% უველა მცხოვრებლებისას და 1895  
წელს კი მხოლოდ 18,5% ი. ეს გასაკვირველიც არ არის, თუ  
მივიღებთ მსგავსებაში იმ გარემოებას, რომ მიწის მუშის  
დღიური ქირა არ აღემატება 2 ფრანკს, მაშინ როცა ფაბრი-  
კის ღებულობს დღეში არა ნაკლებ 3 ფრანკისა საშუალო რი-  
ცხვით. 1880 წლიდან 1895 წლამდის დამუშავებული მიწის  
რაოდენობა შემცირდა 100,000 ჰექტარზე მეტით.

**ამერიკის შიგნითაშული შტატები.** როგორც იქა-  
ური გასუთები იუწეობიან, ფოლადის ქარსნებში მუშები გაი-  
ფინდნენ. ეს ქარსნებმ კეთების ერთს ამსახვობას, რომელ-  
საც სელში უჭირავს თავისი წარმოებით მსოფლიო ბაზარი.  
ასე რომ მუშათა გაფინდვამ განსაცდელში ჩააგდო არამც თუ  
ქარსნის პატრონი, არამედ ამერიკის ფოლადის წარმოებაც,  
რომელსაც, შესაძლებელია, ამ შემთხვევის წყალობით მეტო-  
ქეობა გაუწიოს ევროპის ფოლადის წარმოებათა ბაზარმა. აი  
ამ გარემოებამ დიდა დააოქროს როგორც ქარსნის პატრონი,  
ისე ამერიკის მთავრობაც. უკანასკნელმა გადაეცა მიიტანა  
იქიში მუშათა სინდიკატზე: წარსულ კვირას მოუსდათ შე-  
ტაება მუშებსა და პოლიციას, მაგრამ ამ მწვავე ზომებმა ვე-  
რავითარი ნაყოფი ვერ მოუტანეს ქარსნების პატრონს. პირ-  
იქით, გაფინდული უფრო გამწვავდნენ და ამსახვობის სსვა  
დარვის წარმოების ქარსნებიდანაც ამაღლეს სმა მუშებმა გა-  
ფინდულთა გამოსასარჩლებლათ. მიიყენი უთანხმოებისა მუშებ-


სა და ქარსნის პატრონთა შორის არის მხოლოდ ის, რომ  
მუშები თხოულობენ ჯამაგირის მომატებას. მუშათა გაფი-  
რვის დასაცემათ ქარსნის პატრონებს ვერ უშველა პოლიციის  
ზომებმა. ამიტომ მათ ახლა სსვა სრვის მიმართეს და გა-  
აგრძელეს სმა, ვითომც გაფინდული მუშები თხოულობდნენ არ  
მიიღონ ფოლადის ქარსნებში ის პირები, რომელნიც არ კეთ-  
ებენ მუშათა «სინდიკატს», ე. ი. მუშათა «კავშირს». მაგ-  
რამ ეს მტკნარი სინდრე გამოდგა, როგორც განაცხადა გა-  
ფინდულთა წინამძღოლმა ბ-ნმა შეუერმა: «ჩვენ, თქვა იმან  
ერთ მიტინგზე, ვთხოულობთ ჯამაგირის მომატებას და არა  
იმას, რომ არ მიიღოთ ქარსნებში ის მუშები, რომელნიც ჩვენ  
სინდიკატს არ ეკუთვნიან. ეს განგებ მოგონილი ჭიკობა, სო-  
ლო რაც შეეხება იმას, რომ გავშინებთ თქვენი «მილიციით»,  
იცოდეთ, რომ წავიდა ის დრო, როდესაც საზრახვებით ფინ-  
ტავდნენ მშობილ მომუშავეთ, და თუნდა ასეც მოსდეს, არც მი-  
გას გავეტყვეთო». მართლაც, გაფინდულთ ისე მოაწვეეს საქმი,  
რომ, როცა კი შემთხვევა თხოულობს, რაიმე-დაწეობით, გა-  
მზადებულნი გამოდინ თვის მოწინააღმდეგეთა წინაშე. ვერ-  
ჯერობით საქმი, როგორც მოგასსენეთ, მხოლოდ ბრძოლა-  
შია. გაფინდულებს იმედი აქვთ უეტველათ გამარჯვებისა. ამის  
ნიშნებიც უვეე ჩანს, რადგანაც ბეკმა სსვა წვრილ ქარსნებმა  
უვეე დაუთმეს მუშათა თხოვნას და დააკმაყოფილეს მათი სურ-  
ვილები.

**ინგლის-ბრანსვალის ომი.** ბურთა ბედიბაღში  
არავითარი შესამხნევი ცვლილება არ მომხდარა. იგივე დწიო-  
ება, ტყვეობა, სოცა და უღელტა აფრიაში და იგივე ბრძო-  
ლა ინგლისის პარლამენტში და საზოგადოებაში ომის მომ-  
სრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის. უკანასკნელი დებუბები  
სამსრეთ აფრიაიდან ომის შესასებ ისე იმავე გვარნი არიან,  
ე. ი. ომის სასწორი, როგორც წინეთ, ხან იქით გადადის  
და ხან აქეთ. ინგლისელები უმატებენ ჯარს, სტგლიან სა-  
ომარ გვემას ერთი მეორეზე, სოლო ბურები დას-დასათ და-  
ყოფილნი ისე ისე უსვდებიან მტერს მტირე რიცხვით და დი-  
დის თავგანწირულებით.

რაც შეეხება ბურთა ტყვეების მდგომარეობას, თუ ყურს  
დავუვდებთ ინგლისის საზოგადოების სამართლიანათ ამაღლე-  
ბულ სმას, თანდათან უმჯობესდება და აღარ სდება ის შეძ-  
მწუნებელი ამბები, რომელთაც ალაზარაკეს თვით ბურთა მო-  
წინააღმდეგე ინგლისელებიც კი.

**ჩინეთი.** ბეგრი დიპლომატიური კამათის შემდეგ, რო-  
გორც იყო, გამოძებნეს ის წყაროები, საიდანაც ჩინეთმა უნ-  
და გადაუხადოს რუსეთ-ევროპის კოალიციას ომში დასარჯუ-  
ლი ფული. ეს დიპლომატიური თავსატეხი ვითსვა გადაწედა,  
მაგრამ აი რას ვვითსულობთ უკანასკნელ დებუბებში: «ჩვილი-  
ლიდან იტყობისებინან, რომ კერეთ წოდებული «სოფელეთა  
კავშირი» შესდგება ესლა 25 ათას კარვით შეიარაღებულ ჯა-  
რის-კაცთაგან, რომელთაგან უმრავლესობა უწინდელ მოკრივე-  
თაგან და დათხოვნილ ჯარის-კაცთაგან შესდგება. მთ სელთ  
იგდეს ჩინეთის ჯარების სურსათი, რომელიც პეკინიდან იგზავ-  
ნებოდა». ამავე გვარია მეორე დებუბაც შანჯიდან: «რადგანაც  
«სოფელეთა კავშირი» ჩვილის პროვინციაში იმარჯვებს ლი-  
სუნგჩანგის ჯარებზე, შანდუნის პროვინციაშიაც ისევე დაწყო  
მოკრივეთა მოძრაობა». ასე რომ ვერჯერობით საუკეთესო გა-  
ინაღდებენ ევროპელი სასელმწიფონი ჩინეთზე შეწერილ გა-  
დასასადს თუ არა. მათ სელი მოაწერინეს გადასასადსე ჩინე-  
თის მთავრობას, სოლო ჩინეთის ხალხი კი, როგორც ვხე-  
დავთ, სსვანაირათ ფიქრობს.





### რუსული პოეზიის უმთავრესი მომენტები მე-XIX საუკუნეში.


რუსეთის პოეზია მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში დიად მოვლენას წარმოადგენს არა თუ მარტო რუსეთისათვის, არამედ მთელი ევროპისთვისაც. მეცხრამეტე საუკუნეში ეს პოეზია დაადგა სრულებით ახალ გზას და ისეთ სიმაღლეს მიაღწია, რომ დღეს ის თამამათ უდგია გვერდში ევროპის ლიტერატურას და ის კითხვები, რომლებიც აღძრა მან, მთელი კაცობრიობისათვის არიან საყურადღებონი. ეს პოეზია მდიდარი იყო არა მარტო შინაარსით, მდიდარი იყო მიმართულებითაც: პოეზიის ასპარეზზე თქვენ ხედავთ ერთი მხრით ზაპანდნიკებს, რომლებიც ანალიტიკურათ არჩევდნენ რუსეთის ცხოვრებას და იმის ასამაღლებლათ, გასაუმჯობესებლათ ევროპის პოლიტიკურ და გონებრივ ცხოვრებაში ეძებდნენ მისაბაძევ მაგალითებს, იდეას; მეორე მხრით თქვენ ხედავთ სლავიანოფილებს, რომლებიც სრულებით უარყოფდნენ დასავლეთ ევროპას და თვით რუსეთის ცხოვრებაში ეძებდნენ იმ ელემენტებს, რომლებსაც განათლების და ამაღლების გზაზე უნდა გამოეყვანა არა მარტო რუსეთი, არამედ მთელი კაცობრიობა; მათ გვერდში უდგია ნაბოკოვი, განკერძოებული ალავი უჭირავსთ წმინდა ხელოვნების წარმომადგენლებს და სხვ. სრულათ დახასიათება ასეთი ლიტერატურისა სიძნელეს გარდა ბევრ ალავსაც ითხოვს და ამიტომ ვეცდებით ხრონოლოგიურათ მივყვეთ რუსეთის პოეზიის სხვა-და-სხვა დარგთა განვითარებას და ამით გამოვარკვიოთ ის საერთო დედა-აზრი, რომელსაც ემსახურებოდა ეს პოეზია, ის იდეა, რომელიც გამოსჭვივს საერთოთ რუსეთის პოეზიაში.

გავიხსენოთ მოკლეთ, როგორი იყო რუსეთის პოეზია მეცხრამეტე საუკუნეში და მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში პუშკინისა და გოგოლის ნიჭის გაფურჩქნამდე. ამ დროს განმავლობაში რუსეთის პოეზია მხოლოდ ცრუ-კლასიკური და რომანტიული იყო. რომანტიზმს ბევრი კარგი მხარეები აქვს; როდესაც პოეზიაში არ არის არავითარი ელემენტები რომანტიზმისა, რომელიც უნდა ხიბლავდეს და ანუგეშებდეს ადამიანის სულის, უფერული აწმყოთი მოქანცულს, და იმედითა და ძალით უფროთვანებდეს გულს, აწმყოს უნუგეშო სურათებით იმედ-დაკარგულს, ასეთი პოეზია ბევრს ჰკარგავს თავისი მნიშვნელობით მკითხველის თვალში. მაგრამ რუსეთის რომანტიზმის სუსტ მხარეს აღნიშნულ ხანაში ის წარმოადგენდა, რომ მასში სრულებით უარყოფილი იყო ცხოვრება, რეალური ადამიანის სული, გული და მისწრაფებანი და გარდა ფანტასტიური შემთხვევებისა და დამოკიდებულებისა ადამიანთა შორის მკითხველს არაფერს არ აძლევდა. პოეზია არ იცნობდა ცხოვრებას და არც უნდოდა გაეცნო; პოეზია არ ემსახურებოდა ცხოვრებას და არა თუ არ უნდოდა ასეთი სამსახური, ეს თავის დამცირებათ, სამარცხვინო ხელობათ მიაჩნდა. პოეზია არ იყო თვით საზოგადოებისათვის, ხალხისათვის, ის არსებობდა მხოლოდ ბიუროკრატის მაღალი ნაწილისათვის, ამ ნაწილის გემოვნებასა და კაპრიზებს ემსახურებოდა მხოლოდ და ერთათ ერთი მისი მიზანი იყო, ამ ნაწილის ესტეტიური სიამოვნება. არსებობდა შაბლონური ფორმა ხელოვნებისა, შაბლონური მანერა წერისა. ისინი, ვის-

თვისაც ეს პოეზია იყო დანიშნული, ფრთხილათ ადევნებდნენ თვალ-ყურს, რომ ამ შაბლონს არავინ გაცილებოდა და პოეტებიც, რომლებსათვისაც მაშინ ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაღალი ბიუროკრატის მფარველობას, სრული მონა იყვნენ ამ ბიუროკრატისა და მისი შაბლონის. ასეთი ნაკლი რუსეთის ხელოვნებამ თითქმის მეორმოცე წლებამდე შეიძინა. ცხოვრების უარყოფა იმდენათ ნიშნობლივ თვისებას შეადგენდა მაშინდელი პოეზიისას, რომ ლიტერატურული ენაც კი ისეთი იყო, რომელზედაც ჩვეულებრივი მომაკვდავნი არ ლაპარაკობდნენ. როდესაც პუშკინმა პოეზიაში პირველათ შეიტანა სრულებით უბრალო და ჩვეულებრივი საგნების სახელები, როგორც საზოგადოებაში, ისე მწერლობაში მთელი აყალიმალი ატყდა! მეცხრამეტე საუკუნეში და მეცხრამეტის დამდეგს რუსეთის უმაღლესი საზოგადოება დიდი მორჩილი იყო დასავლეთ ევროპის მოდის ყოველ სფერაში და ნამეტურ საფრანგეთის. ამიტომ ერთი მხრით საფრანგეთის ლიტერატურის გავლენამ, მეორე მხრით სწავლა-განათლების გავრცელებამ, ცხოვრების განვითარებამ და მწერლობაში ისეთ პირთა გამოსვლამ, რომლებიც ბიუროკრატის უმაღლესი ნაწილის მორჩილებას არ ეტრფილებოდნენ და არც ეტანებოდნენ, ნელა-ნელა მოამზადა ცვლილება რუსეთის პოეზიაში. ეს ცვლილება უკვე გამოსჭვივს ზოგიერთ ხელოვნურ ნაწარმოებში მეცხრამეტე საუკუნის გასულს, მაგრამ მის დამწყებათ, მის მამამთავრათ ითვლება პუშკინი.

პუშკინმა საფუძველი დაუდგა პოეზიაში როგორც ახალ მიმართულებას, ისე ახალ ფორმას და ახალ მანერას წერისას. ცრუკლასიციზმისა და რომანტიზმის ნაცვლათ მან გზა გაუკაფა რეალიზმს, წერის ძველი მანერის მაგიერ მან პირველმა შემოიღო უბრალო, მარტივი და ადვილ გასაგები ენა. პუშკინის მნიშვნელობა არა თუ ამ საუკუნის პირველ ნახევარში, ჩვენ დროშიაც ბევრს ძალიან გადაჭარბებულათა აქვს წარმოდგენილი; მაგრამ რუსეთის კრიტიკამ თავის საუკეთესო წარმომადგენლებში ღირსეულათ დააფასა პუშკინის მნიშვნელობა რუსეთის პოეზიის ისტორიაში. თუ პისარევი სრულებით უარყოფდა პუშკინის მნიშვნელობას, სამაგიეროთ ბელინსკი პუშკინის შესახებ წერდა: პუშკინი თავისი დროის პოეტი იყო, დღეს სხვა მისწრაფებაა, სხვა იდეალები და პუშკინიც აღარ არის იმდენათ დიადი, როგორც თავისი დროისათვის იყო. ბელინსკის მიერ პუშკინის ასეთი დახასიათება სრული ჭეშმარიტებაა. რასაკვირველია, ყოველი მწერალი, რა ნიჭის პატრონიც უნდა იყოს ის, უმთავრესათ თავისი დროის მწერალია, და სამარადისო მნიშვნელობა ყოველი დროისათვის არც ერთ მწერალს არა აქვს; განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ერთი მწერლის აზრები დიდხანს ცოცხლობენ და ძლიერათ მოკლებენ მკითხველზე, მეორისა კი მალე ბერდებიან და კარგავენ მნიშვნელობასა და გავლენას; მიუხედავთ თავისი დიადი ნიჭისა პუშკინი უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა; მის მნიშვნელობას ნაპირი უკვე მეორმოცე წლებში ჩამოტყდა, რაც კარგათ შეამჩნია ბელინსკიმ და დღეს ხომ პუშკინის მნიშვნელობა მხოლოდ ისტორიულია. პუშკინი, როგორც პოეტი, საუკეთესო შეილი იყო თავისი დროისა; ის დაიბადა ორი ლიტერატურული ეპოქის ჯვარედინზე და ახალი და ძველი მასში ერთნაირი ძალით იყო შეერთებული. თუმცა პუშკინი





დაადგა რეალურ გზას, მაგრამ ამავე დროს ის სიკვდილამდგ რომანტიკოსი დარჩა. ის ცდილობდა პოეზია ციდან ძირს, დედამიწაზე ჩამოეყვანა და ცხოვრებისათვის დაეკავშირებია, მაგრამ სიკვდილამდე ის იყო წმინდა პოეტი, წმინდა ხელოვნების მსახური, რომელსაც ხალხთან არაერთი საქმე არა ჰქონდა; თუმცა ის ცდილობდა თავის პოეზიაში თანამედროვე ცხოვრება შეეტანა, მაგრამ საერთოთ მისი პოეზია არ არის თანამედროვე ცხოვრების სარკე და პუშკინი იმდენათვე სუსტათ იცნობდა თანამედროვე ცხოვრებას, რამდენათაც ძლიერი იყო მისი ნიჭი. პოეზიის მნიშვნელობის შეგნებაში პუშკინი სრული მეტაფიზიკი იყო, პოეზიის საგნათ მას მიჰქონდა მხოლოდ მეტაფიზიკური «შეენიერება» და ამ შეენიერებას ხატავდა ისე, როგორც მას ესმოდა და ხედავდა. ამიტომ ის სრული ესტეტიკოსი იყო და, როგორც ყოველ ესტეტიკოსს, თავის ცხოვრებისათვის არაერთი მნიშვნელობა არა ჰქონია. პუშკინამდე პოეზიას არაერთი მნიშვნელობა არა ჰქონია ცხოვრებაში; პუშკინმა თავისი ნიჭი და ძალა იმას მოახმარა, რომ პოეზია თავის ნამდვილ გზაზე დაეყენებია, პოეზიისათვის მისი წმინდა მოვალეობა ეჩვენებია და ის ცხოვრების გამაუმჯობესებელ, ცხოვრების ჭირისუფალ ხელოვნებათ გაეხადა. ის, რაც ვერ შეძლო პუშკინმა, დაამთავრეს გოგოლი და გრიბოედოვი; მათ დააყენეს ლიტერატურული ხელოვნება ისეთ ნიადაგზე, რომელზედაც მას შეეძლო ცხოვრებასათვის სასარგებლო ნაყოფის გამოღება და პირველ ნაყოფს თითონვე მოესწრნენ. გოგოლი მალე იდგა გრიბოედოვზე როგორც თავისი ნიჭით, ისე მნიშვნელობით და, თუ რუსეთის პოეზიას მეორმოცე წლებამდე გოგოლის პერიოდს უწოდებენ და არა პუშკინისას, ან გრიბოედოვისას, სრული ჭეშმარიტებაა. სანამ ორიოდ სიტყვას ვიტყვოდით გრიბოედოვისა და გოგოლის მნიშვნელობის შესახებ, დაეუბრუნდები ლერმონტოს.

ამ უღრმოდ დაბადებულ და ტანჯულ ნიჭს სრულეზბით განკერძოებული ალაგი უკავია გოგოლის პერიოდის ლიტერატურაში. პუშკინმა განაახლა ლიტერატურა, გრიბოედოვი და გოგოლი მტკიცეთ დაადგენ განახლებული ლიტერატურის გზას, ლერმონტოვის ნიჭი კი სულის ობლობას დამორჩილებოდა ერთიანათ და თავის სევდასა და უთვისტომობას ალევდა ძალღონეს. ექვს გარეშეა, აწმყო ცხოვრების უფერულობას, ფუქსავატობას და ბიუროკრატიზმს დიდი წილი უდევს ლერმონტოვის პოეზიის თავისებურებაში, მაგრამ ექვს გარეშეა ისიც, რომ, როგორც პუშკინი, ისე ლერმონტოვიც აწმყო ცხოვრებას არ იცნობდა, აწმყო მას არ აინტერესებდა, მას ყურადღებას არ აქცევდა, რადგანაც აწმყო მას სრულეზბით არ მოწონდა; თანამედროვე ცხოვრება ლერმონტოვის სულიერ მოთხოვნილებას სრულეზბით ვერ აკმაყოფილებდა. მიუხედავათ ამისა თუ ლერმონტოვმა დაგვიხატა ზოგიერთი ჭეშმარიტი ტიპი თანამედროვე ცხოვრებიდან იმიტომ კი არა, რომ ასეთი ტიპი მას ცხოვრების შესწავლით შეექმნას, თვით ცხოვრებიდან ამოეღოს, არამედ იმიტომ, რომ ის მხოლოდ თავის თავს, თავის სულიერ განწყობილებას ხატავდა და, რადგანაც ლერმონტოვი თვითონ ტიპური ადამიანი იყო, მისი სურათიც, ექვს გარეშეა, ტიპური იქნებოდა. ნიჭის სიღრმით, სიღინჯით და ფილოსოფიური აღმაფრენით ლერმონტოვი გაცილებით მაღლა დგას პუშკინზე, და სწორეთ ამის ბრალია, რომ ლერმონტოვის პოე-

ზის დღესაც ჰხიბლავს მკითხველს, დღესაც ახიბლავს სულსა და გულს და თავის მიმზიდველობას ჯერ კიდევ დიდხანს არ დაჰკარგავს. მართალია, ევროპის პესიმისმი დიდი გავლენა ჰქონდა ლერმონტოვზე, მაგრამ მისი პოეზიის მარტო ბაირონისა და სხვების გავლენით ახსნა შეუძლებელია. ყოველგვარი გავლენა ისეთი თესლია, რომელიც მხოლოდ შესაფერ ნიადაგზე გამოიღებს ხოლმე ნაყოფს; იქ, სადაც ნიადაგი არ არის მომზადებული, ამა თუ იმ გავლენის აღმოცენებაც შეუძლებელია. როდესაც საზოგადოებაში არსებობს რამოდენიმე ფილოსოფიური, ეკონომიური და სხვ. მოძღვრება; ერთი ადამიანი ერთ მოძღვრებას ემხრობა, მეორე მეორეს და სხვ., ეს აშკარათ ამტკიცებს, რომ ერთ ადამიანს ბუნებრივი მიდრეკილება აქვს ერთი მოძღვრებისაკენ, მეორეს მეორისაკენ. ბუნებრივი მიდრეკილება დამოკიდებულია მემკვიდრეობაზე, აღზრდაზე და სხ., მაგრამ ამის განხილვას ჩვენ აქ არ გამოვუღებთ. მხოლოდ ამგვართ უნდა გვესპოდეს ყოველგვარი გავლენა. დასავლეთ ევროპის პესიმისმა იმოქმედა, მართალია, ლერმონტოვზე, მაგრამ თვით მისი ბუნება იყო იმგვარ ჰანგზე მომართული, რომ ასეთ გავლენას თუნდა კიდევ აცდენოდა, მაინც ობოლი სულის ამონაკენსი იქნებოდა მხოლოდ მისი პოეზია. გარყენილმა მამამ, სუსტმა, გრძობიარე და სიყვარულით აღსავსე დედამ ლერმონტოვს მემკვიდრეობითვე არგუნეს სუსტი აგებულება, სნეული ნერვები, გრძობიარე გული და ექსპანსიური სული; ოჯახურმა ცხოვრებამ სიპატარავიდანვე დაანახა მას ცხოვრების ცუდი მხარე, სიპატარავიდანვე დაულარა მას გული და ის თორმეტი წლისა ისეთი სევდით აღსავსე აზრებს გამოთქვამდა, რაც ზოგიერთ ღრმა მოხუცებულსაც არ აეშლებოდა. წარსულიდან არაფერი ახსოვდა მას სანუგეშო, აწმყო ცხოვრება მას არ უმხნევებდა გულს, ის თავის გულშივე ეძებდა ნუგეშს, მაგრამ აქაც საიმედოს ვერას პოვებდა; რადგანაც თავის თავითაც ის არ იყო კმაყოფილი, მომავლისგანაც არაფერს საიმედოს გამოელოდა და ამგვართ ვერსად და ვერაფერში, ვერც თავის არსების გარეშე, ვერც თავის არსებაში ის სანუგეშოს ვერაფერს ჰპოვებდა. ლერმონტოვის პოეზია საუკეთესო გამომხატველია მსოფლიო პესიმისმისა.

ხანდახან, როდესაც საზოგადოებასაც გადმოხედავდა ლერმონტოვი, ის კარგათ შეამჩნევდა ხოლმე მის ნაკლულეკვანებას და ამხილებდა აშკარათ, გულ-ახდილათ, დაუფარავათ, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის ცხოვრების ნაკლულეკვანებათა შეუბრალებელი მამხილებელი მხოლოდ გოგოლი იყო და შემდეგ გრიბოედოვი. ესენი შეეხნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას როგორც სოფლათ, ისე ქალაქში, როგორც მემამულეთა წრეში, ისე ბიუროკრატიის სამფლობელოში და ყოველგვარი ნაკლულეკვანება გამოააშკარავეს; პირველი მწერლები წარსული საუკუნის დამდეგს, რომლებმაც ნათლათ შეიგნეს პოეზიის ჭეშმარიტი დანიშნულება და შეებრძოლენ ცხოვრების ნაკლულეკვანებას და სხვა-და-სხვა სოციალურ უსამართლობათ, რომ ამით ცხოვრება განეწმინდათ, სამართალი აღედგინათ და ადამიანის ღირსება აღემაღლებიათ, იყვენ გოგოლი და გრიბოედოვი. ამიტომაც დიდია ამ ორი მწერლის ღირსება როგორც ცხოვრებისათვის, ისე მწერლობისათვის. გოგოლისა და გრიბოედოვის პოეზია უტყუარი სარკეა იმათი დროის ცხოვრების ნაკლულეკვანებათა





და იმდენათ უტყუარი და მართლის მაჩვენებელი, რომ თვით საზოგადოება შეძრწუნდა, როდესაც პირველათ დაინახა თავისი თავი გოგოლის თხზულებებში. გოგოლს სულითა და გულით უყვარდა თავისი საზოგადოება მთელი მისი ნაკლულევენებით, ამიტომ იყო ასეთი შეუბრალებელი მამხილებელი, რომელსაც ვერ შეეძრება რუსეთის ვერც ერთი სატირიულო ნიჭი. თუ მან მთელი თავისი ყურადღება მხოლოდ ცხოვრების ცუდ მხარეს მიაქცია, ერთი იმიტომ, რომ ასეთი იყო მისი ნიჭის თვისება, მეორე იმიტომ, რომ თვით თანამედროვე ცხოვრებაში ნაკლი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ღირსება; ცხოვრების ნაკლულევენებასთან ბრძოლა ეს უწმიდესი მოვალეობა არის ადამიანის ყოველგვარი მოღვაწეობისა და გოგოლსა და გრიბოედოს კარგათ ჰქონდათ ეს შეგნებული.

გოგოლის პერიოდში კიდევ იყვნენ ბევრი სხვა მწერლებიც, მაგრამ ისინი მხოლოდ ანახრონიზმს წარმოადგენდნენ გოგოლის დროს მეთვრამეტე საუკუნის ლიტერატურული ტრადიციების დაცვით, ისეთ მწერლებს, როგორც მარლინსკია, სოლოგუბი და სხვები, არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, რადგანაც ისინი ცხოვრებისათვის არაფერს არ აკეთებენ, ხელოვნების მიზანს ისინი ცხოვრების გარეშე ხედავენ და ამიტომ მეც მათ არ შეეგნები მოკლე განხილვაში.

მე ვეცდები მხოლოდ აღვნიშნო დამახასიათებელი მომენტები და საუკეთესო მოვლენანი რუსეთის პოეზიაში წარსული საუკუნის განმავლობაში. პუშკინმა, ლერმონტოვმა და გოგოლმა შექმნეს ისეთი მიმართულება პოეზიისა, რომლის საზღვრებსაც დღესაც არ გაცილებია რუსეთის პოეზია, მცირე გამოწკაპს გარდა. ნამდვილი ცხოვრების ხატვა დღესაც ნიშნობლივ თვისებას შეადგენს რუსეთის პოეზიისას. თუ პუშკინი უმთავრესათ „წმინდა ხელოვნების“ წარმომადგენელი იყო, ასეთ პოეტებს პუშკინის შემდეგაც ბევრს იძლევა რუსეთის ცხოვრება, მაგრამ ჩვენ მათ არ განვიხილავთ. ლერმონტოვის სევდა და პესიმისმი და გოგოლის მანერა ცხოვრების ნაკლულევენებათა ხატვისა მეორმოცე წლებიდან ერთათ შეერთდნენ პოეზიაში და სევდით ხატვა ცხოვრების ცუდი მხარისა რუსეთის მთელი მეცხრამეტე საუკუნის პოეზიის დამახასიათებელი თვისებაა.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება).

„ნუ მიგვათ, საზინაროა!..“

(პატარა სურათი).

მეტათ მშრომელი ქალი იყო საცოდავი სალომე, მხოლოდ საშრომი კი, მისდა საუბედუროთ, ცოტა გააჩნდა. მისი შრომა იყო შემდეგი: დღეში ორ-სამ მკადს ჩაკრავდა გვერდ შეტეხილ კეცებზე ხასესხები ფქვილით, დაწმენდა თავის ქონის სოხანეს და მორჩა... გამომცხვარ მკადებს შესჭამდნენ ის და მისი ქმარი, მიხეილა; ხანდახან მშვირებიც ეყარენ. ესენი გახლდნენ თავის ბატონისაგან გაბედნიერებულნი. მათი ბატონი არსენ გულმყარალაძე მეტათ განთქმული იყო იმ სოფელში თავის რაინდული მოქმედებებით. არ შეიძლებოდა, რომ ასეთი არ ყოფილიყო, რადგან მის შთამომავლობასაც მუდამ ხვალ-ხანჯალი ხელთ ეჭირა, რასაკვირველია არა მტრის მოსაგვრებლათ, არამედ თავისისავე მოქმის გამოსაკუჭავათ. ამიტომ რა გა-

საკვირველია, რომ არსენაც მათი მსგავსი იქნებოდა. ერთი სიტყვით, თავის მამა-პაპათა ანდერძს შეურყვევლო იცავდა და ასრულებდა არსენა გულმყარალაძე.

თუმცა ბატონ-ყმობა უკვე დიდი ხანია გადაეარდნილი იყო, მაგრამ ცბიერმა არსენამ ბევრგვარი დაპირებით შეინარჩუნა საბრალო სალომე და მიხეილა. „მე, იცი, შენთვის რა მწადია?“ — ეტყოდა ხოლმე ბატონი მიხეილას. — „არა ბატონო, მე რა ვიცი, თქვენი წყალობა ნუ მომაკლოს უფალომ“. — „შეილო, შენ საქმეს გაუფრთხილდი, ნუ იორგულე და თუ მე უღვაში მამია და კაცს შეძახიან, დაგასახლებო“, — ეტყოდა უღვაშებზე ხელის სმით ბატონი. მიხეილასაც სჯეროდა ეს დაპირება და ძალ-ღონეს არ იზოგავდა ბატონისთვის. ასევე ეუბნებოდა სისხლის მსმელი არსენა სალომესაც და ზედ დაუმატებდა: „შენ, გოგო, შენი ნაკლულევენება კარგათ იცი, კოჭლსა და უთვალოს კი არა, ხეირიანსაც არავინ თხოულობს, მაგრამ მე ვეცდები რაც გამეწყობა და ხელს მოგიმართავ“.

ამ დაპირებებში გადიოდნენ დღეები, თვეები, წელიწადებიც კი, მაგრამ ბატონის დაპირების შესრულებას არა გაეწყობა.

ერთ საღამოს ბატონის ოჯახში რაღაც ჩოჩქოლი შეიქნა; ყველაზე მეტს ქალბატონი ელენე ტიტინებდა: „არა, რაეა გამიბედეს იმ „მურყის“ შეილებმა ჩემი ოჯახის გაუპატიურება, უბრალო ვინმე ვეგონეთ თუ?.. შთამომავლობით აზნაურები, პატიოსნები, კეთილშობილები... მაგისთანა სირცხვალი ჩემს ოჯახს არ დამართნია... მოვიშოროთ, შენი ჭირიმე, თავიდან ის ოხრის შეილები, თორემ მოგვეჭრა თავი სწორეთ“. ეს სიტყვების ქარბუქი აეტეხათ მისთვის, რომ ქალბატონ-ბატონმა კარგა ხანია მოინდომეს ბიჭ-გოგოს მოშორება, მაგრამ ვერა გააწყეს-რა — და აი, ახლა ამათ მიხეილას სალომესთან შეცდენა გადააბრალეს. — „არა, შენი ჭირიმე, მაგათი შენახვის თავი არა მაქვს, ეუსკენათ ორივეს გვირგვინი და გაუფრთხილეთ“, — უპასუხა არსენამ, რომელიც იმ საცოდავ „ბიჭ-გოგოს“ ოფლით თავს ირჩენდა, წელი მოიმადრა და დღეს კი მათი ღეთის ანაბართ გადაყრა მოინდომა.

გაეიდა ხანი... სოფელი ჭურღულეთი სიბნელეს მოეცვა, მხოლოდ გორაკზე წამოსკუპულ ეკვლისაში კი სანთლებს ლაპლაპი გაჰქონდა. საყდარში გაისმა მღვდლის ბოხი ხმა: „და იყენენ იგინი ერთსულ და ერთხორც“... დიან, ბატონს არსენას უნდოდა მიხეილა და სალომე შეერთხორცებულოყვენ და კიდევაც აასრულა... ამ საღამოს მიხეილა და სალომე ჯვარს იწერდნენ... „ღმერთმა გაგაბედნიეროთ“, უთხრა გვირგვინოსნებს ონოფრე მღვდელმა გვირგვინის კურთხევის შემდეგ.

სალომეს ჯერის-წერა სოფელსაც არ გაეგო, მხოლოდ მესამე დღეს ქალები რაღაც გაცხარებით ლაპარაკობდნენ ამის შესახებ. ყველამ კარგათ იცოდა, რომ გულმყარალიძენი მეტათ უსინდისოთ მოექცენ შეიდი წლის ნამსახურ მიხეილას და სალომეს. მართლაც, ეს საბრალო ადამიანები დარჩენ სრულიად პირში ჩალა გამოვლებულნი: გულმყარალაძემ მათ არა მისცა რა და თავისი ხომ არა გააჩნდათ რა და არა.

როგორც იყო, სოფლის ერთ კუწქულში აიშენეს მებობლების შემწეობით პატარა ქოხი, რომელიც სალორეს უფრო წააგავდა, ვიდრე ქოხს... აი, რა არგუნა ბედ-



მა ახალ გვირგვინებს, ცხოვრებისგან გაწამებულებს; იღბალმა ამ ალაგას მიუთითა და უთხრა მათ: მიბძნდით იქ და თავი შეიფარეთ... საწყალ მიხეილას არც სახნავი გააჩნდა, არც სათესი, მხოლოდ ისევ მეზობლების შემწეობით ირჩენდა თავს. მეზობლებმა კარგათ იცოდნენ, რომ სალომეს სიტყვა „მასესხე“ მომეცის ნიშნავდა და მეტს არაფერს, მაგრამ კაცთ-მოყვარე გლეხები არას უკავებდნენ.

„ღმერთი დიდა, ვენაცვალე მის დიდებას, არც იგი დააყრის ხერს ჩემს დამტანჯველს ბატონს“, — იტყოდა ხოლმე ნალვლიანი გულით მიხეილა და თვალ-ცრემლიანი კედელს მიჩერდებოდა, სალომემ არ შემხედოსო.

კორკოტობამ მოატანა... სოფელში გოჭების ჭყვირილი ატყდა... დიდი თუ პატარა, ყველა ფაციფუცშია. ყველა სახორცეს ამზადებს მეორე დღისთვის, მხოლოდ სალომეს არა აქვს-რა საფაციფუცო... მას წიწილაც არ გააჩნია, რომ მისი ხორცი შობა დღეს გაიხსნილოს...

აი, ამ დროსაც მათი ხელის გამმართავი და შემბრალე იყო ონოფრე მღვდლის ცოლი. ის ამ დროს გადააღებდა ერთ გროვა ხორცს და გულ-მტკივნეულათ ეტყოდა შინამყოფთ: „მადლია, შეილო, მათი ყურისგდება, ვიცი ახლა მათ სახსნილო არა ექნებათარა“... მეორე დღეს ალიონიც არ იყო ჩამოსული, რომ მღვდლის ბიჭი ხონჩით მიხეილას კარებზე მიადგებოდა. „ვაი, ვენაცვალე იმის გამჩენს, ის თუ მიგდებს ყურს, თორემ ღმერთი ამოაგდებს ჩვენს ნაბატონარს“... ეტყოდა ბიჭს სალომე გაბრწყინებული სახით ხონჩის ჩამორთმევის დროს.

ასეთ გაჭირებულ მდგომარეობაში მყოფი ალარც „ბორჩიკები“ ასვენებდნენ. როგორც კი ესენი მიადგებოდნენ კარზე მიხეილას, მაშინვე სალომე მიეგებებოდა და ტკბილათ ეტყოდა: „გვაცალეთ კიდევ, ღმერთი მოწყალეა, არც ასე იქნება, ხელი მოგვიბრუნდება და გავისტუმრებთ“. მაგრამ ხელი მობრუნებოდათ კი არა, სულაც რომ გადაბრუნებოდათ, მაინც ვერას გახდებოდნენ. ბევრჯერ სახლიც გაუჩნრიკეს საწყალ მიხეილას, მაგრამ პირმოტეხილი კოკისა და შებზარული ქოთნის მეტი არაფერი გააჩნდა და რას წაიღებდნენ?!

გავიდა წელიწადი... ისევ შობის კვირაა, კორკოტობის წინა დღეა. გაძლიერებული ქარბუქი სოფელ ჭურყულეთში კორიანტელს აყენებს... აგერ სოფლის გარაკზე, მიხეილას ქონას პირდაპირ ორი თავ-შეხვეული კაცი მოდის... „იცი, ბიჭო?“ — უთხრა ერთმა მეორეს — „თურმე ის ღორი სალომესი კი არა ყოფილა მარტო, საზარო ყოფილა“. — „ეგ მეც ვიცი, მაგრამ რა ვუყოთ, უეჭველათ უნდა წავეყვანოთ“, — უთხრა მეორემ. — „მერმე იმას რომ სალომე არა აქვს, ღორი სად ეყოლება?“ — უთხრა ისევ პირველმა. — „შენ მომეყ ჩქარა და ის მე ვიცი“, — უთხრა უკანასკნელმა. ესენი გახლდნენ, მკითხველო, «ბორჩიკები», რომელნიც კორკოტობის წინა დღით მიეშურებოდნენ სალომესკენ, რომ ამ უკანასკნელს მართლაც საზიარო ღორის დაკვლა არ მოესწო. — «შეაღე, ბიჭო, კარები, კი არაფერს ვიპარავთ», — უთხრა ერთმა «ბორჩიკმა» მეორეს.

«ბორჩიკის» ხმა მეზობლის სალომედან სალომემ გაიგონა და ცივი ოფლი დაასხა. მაშინვე აზრი აიღო, სწორეთ მიმიგნეს იმ წყეულებმაო და გარეთ გამოვარდა.

რას ხედავს საწყალი სალომე! მის ფერდელა ღორს კოჭვენ... აქ კი ვეღარ მოითმინა საწყალმა და გაბრაზებული «ბორჩიკებს» მივარდა.

— „გაუშეთ, გაუშეთ...“ — ტიროდა, ქვიფინებდა საწყალი და ბოლოს გამწარებული ერთ «ბორჩიკს» ეცა და ხელები შეუკავა. «ბორჩიკმა» გაუქნია ხელი, ჰკრა გულზე და იქვე მიაგორა. — „არა, შე ტუტუცო, ამ ღორს რომ არ დაგანებებ არ იცი?“ — დაუმატა მეორემ. ღორს მაგრათ ფეხში ბაწარი ჩააბეს და ჭყვირილით წაიყვანეს. გამწარებული სალომე უკან მისდევდა და სულ ამას მისძახოდა: «თქვე უღმერთობო, ნუ მიგყავთ, საზიაროა, საზიარო!» მაგრამ «ბორჩიკები» გულ-გრილათ მიერეკებოდნენ ღორს...

ამ გარემოების შექდევ ყოველისურით ივედ გაწყვეტილი სალომე აეთ გახდა და მოუვლელიობის გამო გარდაიცვალა.

საცოდავი სალომე ღორის ჯავრმა გადიტანაო, — იტყოდნენ ხოლმე სოფელში ქალები სალომეს ხსენებაზე.

იონა ალუღელი.

მ ს ო ფ ლ ი ო ს ა მ ბ ე ბ ი .

ქალების მოძრაობა.

(დასასრული.—იხ. № 29).


გერმანიაშიაც მიიღო წელს ერთმა ქალმა დოქტორის ხარისხი, მხოლოდ ეს ქალი ამერიკელია და არა გერმანელი. მისი სახელი არის კაროლინა სტიუარტი. იგი სწავლობდა ბერლინის უნივერსიტეტში და დოქტორობაც იქ მიიღო. საინტერესოა მოვიხსენიოთ, რომ სტიუარტს, როცა იგი უნივერსიტეტის სადღესასწაულო დარბაზში თავის დისერტაციას იცავდა, ოპონენტებათ, ანუ მოკამათებათ ქალებიც გამოუჩნდნენ. ეს პირველი შემთხვევაა, რომ ბერლინის უნივერსიტეტში უცხოელ ქალს მიეღოს დოქტორის ხარისხი.

გერმანიის უნივერსიტეტებში მოსწავლე ქალთა რიცხვი თანდათან მატულობს. 1899—1900 წელს ზამთრის სემესტრში მათი რიცხვი 664 იყო, შემდეგ ზაფხულის სემესტრში—618, ხოლო წასულ ზამთარში—1029. ამ ზამთრის სემესტრში ბერლინის უნივერსიტეტში სწავლობდა 439 ქალი, ბონში 100, ლეიპციგში 79, ჰალეში 76, ბრესლაუში 67, ფრეიბურგში 38, გეტინგენში 37, მიუნხენში 31, ვირცბურგში 29, კენიგსბერგში 24, გისენში 23, გრეიფსვალდში 13, ჰეიდელბერგში 23, კილში 19, შტრასბურგში 16, მარბურგში 6, ტიუბინგენში 4, როზტოკში 3 და ერლანგენში 2.

მუშა-ქალთა მოძრაობაც ძლიერდება გერმანიაში. 10 თებერვალს ბერლინში ქალებმა საპროტესტო კრება გამართეს, რომელსაც მრავალი ქალი დაესწრო. ქალებმა პროტესტი განაცხადეს იმის შესახებ, რომ გერმანიის იმპერიის ზოგიერთ მოკავშირე სახელმწიფოებში ქალებისთვის კრების უფლება შეკვეცილია. ასეთი მდგომარეობა ჩვენი ერის შემარცხვენელიაო, განაცხადეს მათ; ქალების უფლების შეზღუდვა ჩვენს შეურაცხყოფას ნიშნავს და არ შეჭფერის მეოცე საუკუნეს და ახლანდელ კულტურას და განათლებასო. კრებამ მოითხოვა მთელი გერმანიისთვის ერთნაირი საკრებო კანონის გამოცემა, როგორც მამაკაცებისთვის ისე დედაკაცებისთვის, და კრების და ფერაინების შედგენის სრული თავისუფლება ყველასათვის.

„გერმანიის ქალთა ფერაინების კავშირმა“ რეისტაგს თხოვნა გაუგზავნა, რომელშიაც ქალები სამრეწველო სა-





მსაჯულოებისთვის არჩევანის და მსაჯულებათ ქალების არჩევის უფლებას თხოულობენ. თხოვნაში ნათქვამია, რომ მრეწველობის ბევრი ისეთი დარგი არსებობს დღეს, რომელშიაც მუშებიც და მუშების დამჭერნიც დედაკაცები არიანო. ასეთ დარგებში მუშა-ქალთა და მათ მამუშავებელ ადებს შორის წარმომდგარ უთანხმოებათ მამაკაცებისგან შემდგარი სამსაჯულოები ვერ არჩევენ ხეირიანათ და ხშირათ ქალების მოწვევა ხდება საჭიროვო. ამიტომ საჭიროა, არჩევანის უფლება მოგვეცეს, რომ ჩვენი კინკლი და უთანხმოება ჩვენვე გავარჩიოთ და გარდავწყვიტოთო.

დასაწყის მუშა-ქალებს მარტში პირველი კონგრესი ჰქონდათ კოპენჰაგენში. კონგრესზე განხილულ და მიღებულ იქნა წინდაწინ შედგენილი წესდება. დღევანტებმა გადაწყვიტეს, რომ მათი მრწმუნებელი ფერაინები არსებულ საპროფესიო კავშირებს შეუერთდენ.

შეგდა-ნორვეგიადაც არის ორიოდ ამბავი ქალების წინსვლის შესახებ მოსახსენებელი. მისის თვეში აქ ქალებს ქალაქების არჩევნებში მონაწილეობის და ხმის უფლება მიეცათ.

ნორვეგიის ვეჭილებმა თავის წლიურ კრებაზე გადაწყვიტეს, რომ კანონ-პროექტი შეიმუშავონ, რომლითაც ქალებს ვეჭილობის უფლება უნდა მიეცეთ.

შემუსიკე ქალი ერიკა ვისენი დანიშნულ იქნა საეკლესიო არღნების მეთაურათ და გამგეთ ქრისტიანიაში. იბსენსა და ბიერნსონსავეთ. ამ ქალს პარლამენტში საპატოა ჯამაგირი გადაუკვეთა.

ერთი დედაკაცი, სახელათ მათილდა შიოტი, ამ უკანასკნელ ხანებში პროფესორათ დანიშნეს ქრისტიანის ერთ მაღალ სასწავლებელში. გარდა ამისა უსპალას უნივერსიტეტშიც მოღვაწეობს ერთი ქალიშვილი. ეს არის დოქტორი ემელსონი, რომელიც პრევატდოცენტია იურიდიულ ფაკულტეტზე.

ჰოლანდაშიც დანიშნეს ამას წინეთ გიმნაზიაში მათემატიკის და ბუნებისმეტყველების მასწავლებლათ ერთი ქალიშვილი, სახელათ ფან დე კამერი, რომელსაც ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი აქვს მიღებული.

ერთი დედაკაციც, პეკელჰარინგ-დოიერი, გრონინგენში აირჩიეს ქალაქის საშუალო სასწავლებლების ზედამხედველ კომისიის წევრათ.

ავსტრიაში, სახელდობრ ვენის უნივერსიტეტში, პროფესორები სტუდენტ-ქალების შესახებ ორ დასათ არიან დაყოფილი. ზოგნი, განსაკუთრებით სამკურნალო ფაკულტეტის პროფესორები, ნებას არ აძლევენ ქალებს, მათი ლექციები მოისმინონ და პრაქტიკულათ იმუშაონ. ზოგი პროფესორები, პირვით, ენერგიულათ იბრძვიან ქალების სასარგებლოთ და ცდილობენ, ქალებს დაუბრკოლებლათ შეეძლოთ სწავლა. თვით უნივერსიტეტის რექტორის მეუღლემ, ქანი შრუტკა, სტუდენტათაა ჩაწერილი და მკურნალობას სწავლობს. ავსტრიის სწავლა-განათლებლის მინისტრი აპირობს ქალებისთვის ლიცეების დაარსებას, რომლებშიც მაღალ სწავლა-მიღებული ქალები იქნებიან მასწავლებლებათ.

ავსტრიის უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში ქალები ძალიან ენერგიულ მონაწილეობას იღებდენ. ყველა პარტიის ქალები მართავდენ ვენაში კრებებს და დაუცხრომელ აგიტაციას ეწეოდენ. თუ როგორ დიდ მნი-

შენელობას აწერენ ევროპაში პოლიტიკური პარტიები ქალების აგიტაციას და დახმარებას, ამას შემდეგი სიტყვებიდან დაინახავთ, რომლებიც ვენის ქალაქის თავმა დოქტორმა ლიუგერმა უთხრა ერთ კრებაზე ქრისტიანულ-სოციალურ პარტიის მომხრე ქალებს: „იმით, რომ მე თითქმის სულ ქალების კრებებს ვიწვევ, მიხვდებით, თუ როგორ დიდ მნიშვნელოვანათ მიმაჩნია მე თქვენი აგიტაცია საარჩევნო ბრძოლაში. თუ მე ვენის ქალაქის თავი ვაგხდი,—თქვენი წყალობით ვაგხდი, და ახლაც თქვენზე დამოკიდებული, პარლამენტის დეპუტატათ არჩეული ვიქნები თუ არა. თქვენ ყოველ დღე, ყოველ საათში აგიტაციას უნდა ეწეოდეთ, და არა მარტო თქვენ ნაცნობებთან, არამედ უცნობებთანაც—ყიდვის დროს და ნაყიდის მიღების დროს. თქვენ უნდა უთხრათ ვაჭრებს, რომ მათ ქრისტიანულ პარტიის კანდიდატი აირჩიონ, თორემ მათთან კავშირს გაწყვეტთ და აღარაფერს არ იყიდით. უნდა უთხრათ ისიც, რომ თქვენ არჩევანის დღეს თვალ-ყურს დაიჭერთ და ვაიგებთ, იმათ მართლა თქვენ დასახელებულ კანდიდატს მისცეს კენჭი თუ არა. და არჩევანის დღეს თქვენ საქმლის ხარშვაზე ოჯახში სრულიად ხელი უნდა აიღოთ; ამ დღეს დედაკაცი ოჯახს არ ეკუთვნის,—თქვენ ყველანი აგიტაციის საქმეს ეკუთვით“. და მართლაც ქრისტიანულ-სოციალურ პარტიის მომხრე ქალებმა ძალიან იშრომეს. მარტო ვენის სამ განაპირა ნაწილში 12,000 კრონი მოაგროვეს საარჩევნო ფონდისთვის. ამათზე ნაკლებ მუშათა პარტიის მომხრე ქალებსაც არ უმოქმედნიათ. უთვალავ კრებებს მართავდენ და მათი კანდიდატის გაყვანას ცდილობდენ.

არჩევნების დროს გარდაც ხშირია ვენაში ქალების კრებები,—განსაკუთრებით მუშა-ქალებისა. მავალითათ, თებერვალში ვენის მუშა-ქალებს დიდი კრება ჰქონდათ. კრებაზე მიღებული რეზოლიუცია პარლამენტს გაუგზავნეს. ამ რეზოლიუციაში ქალები თხოულობენ, რომ მრეწველობის იმ დარგებში, რომლებშიც მუშაობა ქალის აგებულობისთვის მავნებელია, ახლავე 8 საათის სამუშაო დღე იქნეს შემოღებული; ხოლო სხვა დარგებში კი ასეთი სამუშაო დღე თანდათან დაწესდეს. გარდა ამისა ქალები ამბობენ, რომ სკოლების საქმე უნდა გაუმჯობესდეს და ახალგაზღობას სახელმწიფომ მეტი მფარველობა უნდა გაუწიოსო. ის წესი, რომელიც ახლა არსებობს, რომ მელოგინე დედაკაცმა მომშობიარებოდან ოთხი კვირის განმავლობაში ფაბრიკაში არ უნდა იმუშაოსო, არ კმარა და ეს ხანი ექვს კვირამდი უნდა იქნეს გადიდებული და ყველა ფაბრიკებში სავალდებულოთ აღიარებულიო. კიდევ ბევრს რასმე თხოულობენ ქალები: თხოულობენ მაღაზიებში და სავაჭრო სახლებში ნოქარ ქალებისთვის საჯდომების შემოღებას, სამრეწველო ინსპექციის გაუმჯობესებას, ქალების დღევანტების არჩევის წესათ შემოღებას, ფაბრიკის ინსპექტორებათ დედაკაცების დანიშვნას, სამრეწველო სამსაჯულოებში ქალების არჩევის უფლებას და სხვ.

დასასრულთ ააზნააც მოვიხსენიოთ, საცა ქალებს შესამჩნევი წინსვლა ეტყობა. ქ. ტოკიოში გაიხსნა ამ გაზაფხულზე ახალი უნივერსიტეტი ქალებისთვის. შენობის ასაგებათ მიწა ერთმა მდიდარმა ოჯახმა შეწირა, ხოლო აშენების ხარჯები, რომლებიც 240,000 მანათს აღემატება, სამმა მდიდარმა მოქალაქემ იკისრა. გარდა ამ უნი-



ვერსიტეტისა იაპონიაში არსებობს ქალებისთვის სავაჭრო სასწავლებლები. იქ სწავლის მიღების შემდეგ ქალები სხვა-და-სხვა სავაჭრო დაწესებულებებში შედიან სასამსახუროთ. ამ უკანასკნელ ხანებში ერთმა რკინის გზის საზოგადოებამ გამოაცხადა, მოსამსახურე მამაკაცებს თანდათან დაეთხოვოთ და მათ ნაცვლათ კანტორებში ქალებს დაეყენებოთ. საფოსტო-ტელეგრაფო და სატელეფონო დაწესებულებებშიც იაპონელი ქალები ბლომათ მსახურობენ. თვით იაპონიის დედოფალი ძალიან ხელს უწყობს და ეხმარება ქალების განათლებას და საზოგადოთ წინსვლას.

შეზოჯი.

ჩვენ რედაქტორ-გამომცემელთა საუბრადლებით (შენიშვნა).

წამდენი ასოთამწობა უნდა რამდენიმე გაზეთის აწყობას, აწყობილის გასწორებას და გვერდებზე შეკრას, და ან რა უნდა ღირდეს მთელი ეს მუშაობა? ჩვენში ნურავის გავიკვირდებათ, თუ ამ კითხვებზე ვერ მოგცემენ პასუხს არამც თუ ჩვეულებრივი მკითხველები, არამედ თვით ბბ. რედაქტორები და გამომცემლები. და ასე წარმოიდგინეთ, ვერც მესტამბენი და თვით ასოთამწობნი მოგცემენ გადაჭრილ პასუხს ზევით დასმულ კითხვებზე.

ამ კითხვების გამოურკვეველობას კი თითქმის მუდამ, ჩვენში მაინც, ის შედეგი მოსდევს, რომ რედაქტორი ან გამომცემელი რომელიმე გაზეთისა ვარდება რომელიმე მესტამბენის ხელში და მეტს იხდის, ან საბრალო ასოთამწობებს არ ეძლევა ხვედრი სასყიდელი, და ეს დღე და ღამ მომუშავე ფუტკრები, რომლებიც სხვისთვის მუდამ თაფლსა და სანთელს ამზადებენ, სიტკბოებასა და სინათლეს უგზავნიან ყველას, თავათ მუდამ აკლიათ პური არსობისა და ჰაერიც კი. ყველა ამის შედეგი კი ის არის, რომ საქმე რიგიანათ არ კეთდება, ხელობა არ ვითარდება და თვით მკითხველი ვერ იღებს იმას, რასაც უნდა იღებდეს.

ამიტომაც მე საჭიროთ და დროს შესაფერათ მიმართა მიცევა გარკვეული პასუხი ზემოთ დასმულ კითხვებზე.

ავიღოთ თფილისის გამოცემები: „კავკაზი“, „ნოვოე ობოზრენიე“, „ტიფლისსკი ლისტოკი“, „მშაკი“, „ნორდარი“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“ და „კვალი“.

„კავკაზი“ მოთავსებულია ერთ თაბახზე—4 გვერდზე და იწყობა უმთავრესათ სამი შრიფტით: ციცეროთი, კორპუსით და პეტიტით. ყველაზე მეტი მიდის უკანასკნელი, მერე კორპუსი, ციცერო სულ ცოტა. ამიტომაც ვიანგარიშოთ პეტიტისა და კორპუსის შუა არითმეტიკული რიცხვი. თითო გვერდზე ექვს-ექვსი სვეტია, თითო სვეტშია 149 სტრიქონი, სტრიქონის სიგრძეა 3 კვადრატ და 34 პუნქტი და იტევს კორპუსით 35 და პეტიტით 45 ასოს. ამათი საშუალო არითმეტიკული იქნება  $(35 + 45) : 2 = 40$  ასო. თითო სვეტში იქნება  $40 \times 149 = 5.960$  ასო, მთელ ნომერში (24 სვეტში)  $5.960 \times 24 = 143.040$  ასო. ათასი ასოს აწყობა, რასაც ამწობი საშუალო რიცხვით ერთ საათს უნდება, ნამეტურ როცა თვითონვე უნდა გაარჩიოს, რუსული შრიფტის ღირს საზოგადოთ 16 კაპ. (ფრანგულის ღირს 20 კაპ. და ბერძნულის—24 კაპ.). ამნაირათ, მთელი ნომრის აწყობა ეღირება  $16 \times 143 = 22$  მან. 88 კაპ. ყველა ამ სვეტე-

ბათ (колонна, гранка) აწყობილ სტრიქონებს (набор) უნდა გვერდებათ შეკვრა (верстка). ამ მუშაობას ასობა ღებს მეტრანაჰაი (metteur en pages), რომელსაც სხვა მუშაობასთან ერთათ ერგება სამი მანეთი. გვერდებში რამოდენიმეჯერ უნდა გასწორდეს კორექტურული შეცდომები, გაიშვას მაშინაზე და ერთხელაც კიდევ მაშინაზე უნდა გასწორდეს (правка сводки). ამ უკანასკნელ მუშაობას იმისთანა დიდ გაზეთზე, როგორც „კავკაზია“, უნდება სამი კაცი, რომლებიც ყოველ ღამე რიგით რჩებიან სტამბაში (дежурные наборщики). ორს იმათგანს ერგება თითო მანეთი და მესამეს, რომელიც უფრო ადრე გათავისუფლდება, 60 კაპ., სამივეს ერთათ 2 მ. 60 კ. ამნაირათ, მთელი ნომრის აწყობა, გასწორება და შეკვრა ეღირება 22 მ. 88 კ. + 3 მ. + 2 მ. 60 კ. = 28 მან. 48 კაპ.

თითო ამწყობი დღეში შუა რიცხვით რვა ათასი ასოს აწყობის მეტს ვერ მოასწრებს, რადგან გარჩევის და აწყობის გარდა პირველი კორექტურაც უნდა გაასწოროს. მაშასადამე, „კავკაზის“ აწყობას მოუწდება დღეში  $143 : 8 = 17 \frac{7}{8} = 18$  ასოთამწყობი.

„ნოვოე ობოზრენიე“ იწყობა უმთავრესათ კორპუსით. ვგრეთვე ერთ თაბახზე—4 გვერდზე, გვერდში ექვს-ექვსი სვეტია, სვეტში 124 სტრიქონი, სტრიქონის სიგრძეა 3 კვადრატ და 30 პუნქტი და იტევს 35 ასოს. ამნაირათ მივიღებთ:  $35 \times 124 \times 24 = 104.160$  ასოს. ჩავადებთ რა ვგრეთვე ათასს 16 კაპეკათ, მივიღებთ:  $16 \times 104 = 16,64$  მან. მივუმატებთ რა ამას სამეტრანაჰაუსს (გვერდების შესაკრავს) 2 მანეთს და ღამის მორიგი ორი ამწყობისას თითოზე 1 მანეთს (2 მან.), მივიღებთ  $16,64 + 2 + 2 = 20,60$ . ამნაირათ მისი აწყობა, კორექტურის გასწორება და შეკვრა ეღირება 20 მან. და 64 კაპ. მოუწდება  $104 : 8 = 13$  ამწყობი.

„ტიფლისსკი ლისტოკი“ ამ ფორმატზე იწყობა, ამავე ზომის შრიფტით და ამოდენივე შრომა უნდება. მაშასადამე, მისი აწყობაც ამდენადვე ღირს და ამდენივე კაცი მოუწდება.

„მშაკი“ მოთავსებულია ერთ თაბახზე—4 გვერდზე. იწყობა უმთავრესათ კორპუსით. თითო გვერდზეა ოთხ-ოთხი სვეტი, სვეტში 95 სტრიქონი, სტრიქონის სიგრძე 4 კვადრატ და ერთი ციცეროა, იტევს 42 ასოს. ამნაირათ გამოდის:  $42 \times 95 \times 16 = 63.840$  ასო = 64 ათასს. ვიანგარიშებთ რა ვგრეთვე (როგორც რუსულისას) ათასს 16 კაპ., მივიღებთ:  $16 \times 64 = 10$  მან. 24 კ. ამას მივუმატებთ რა სამეტრანაჰაუსს 1 მან. და ღამის მორიგი ორი მომუშავესას თითოზე 70 კაპ. = 1 მან. 40 კ., მივიღებთ:  $10,24 + 1 + 1,40 = 12$  მ. 64 კ. მაშასადამე, მისი აწყობა-გასწორება და შეკვრა ჯდება 12 მან. და 64 კაპ. მოუწდება  $64 : 8 = 8$  ამწყობი.

„ნორ-ღარი“ იწყობა ერთ თაბახზე—4 გვერდზე. ვგრეთვე უმთავრესათ კორპუსით. თითო გვერდზე მოთავსებულია ხუთ-ხუთი სვეტი, თითო სვეტშია 90 სტრიქონი, სტრიქონის სიგრძე 3 კვადრატ და 20 პუნქტია და იტევს 35 ასოს. სულ შეადგენს:  $35 \times 90 \times 20 = 63.000$  ასოს; ვიანგარიშებთ რა ათასს 16 კ., მივიღებთ:  $16 \times 63 = 10,08$  მ.; მივუმატებთ რა ამას სამეტრანაჰაუსს 1 მან. და ორ „მორიგისას“ თითოთვის 70 კაპ. = 2 მან. 40 კაპ., შედგება:  $10,08 + 2,40 = 12$  მ. 48 კ. მოუწდება  $63 : 8 = 7 \frac{7}{8} = 8$  ამწყობი.



„იგრა“ იბეჭდება ერთ თაბახზე—4 გვერდზე. თითო გვერდზე მოთავსებული ხუთ-ხუთი სვეტი, სვეტშია 82 სტრიქონი, სტრიქონის სიგრძეა 3 კვადრატ ნახევარი და იტევს 35 ასოს (ქართული გამოცემები უმთავრესათ იწყობიან ორი შრიფტით—ვენითა და აკადემიით. უკანასკნელი უფრო თხელია და მეტს იტევს სტრიქონი, მაგ., „ივერიის“ სტრიქონში იმისი თავსდება 42 ასო, და არითმეტიკაცა და სამართალიც მოითხოვდა, რომ საშუალო არითმეტიკული რიცხვი, ე. ი.  $(35 + 42) : 2 = 38\frac{1}{2}$  ასო მენაგარიშნა, მაგრამ რადგანაც მე მინიმუმს ვანგარიშობ, ამიტომ ვენის შრიფტი ავიღე. მთელი ნომერი დაიტევს:  $35 + 82 \times 20 = 57.400$  ასო—უნდა ვიანგარიშოთ 57 ათასი. ვიანგარიშებთ რა, როგორც რუსული-სას და სომხურისას, ათასს 16 კაპეკათ, მივიღებთ:  $16 \times 57 = 9,12$  მან. მიუმატოთ ამასამეტრანაჟო 1 მან. და „სადეჟურნო“ (ორი ამწყობის) 1 მან. 40 კაპ., და შედგება:  $9,12 + 1 + 1,40 = 11$  მ. 52 კ.

ამნაირათ, «ივერიის» თითო ნომრის აწყობა, კორექტურის გასწორება და შეკვრა ჯდება 11 მან. და 52 კაპ. და უნდება  $57 : 8 = 7\frac{1}{8} = 7$  ამწყობი.

«ცნობის ფურცელი» გამოდის ერთი თაბახზე—4 გვერდზე. გვერდი შეიცავს ოთხ სვეტს, სვეტში თავსდება 84 სტრიქონი, სტრიქონის სიგრძეა 4 კვადრატი და ერთი ციციერო და იტევს 42 ასოს. მთელი ნომერი შეიცავს:  $42 \times 84 \times 16 = 56.448$  ასოს. ვიანგარიშებთ რა ათასზე 16 კ., მივიღებთ:  $16 \times 56 = 8$  მ. 96 კ. მიუმატოთ ამას სამეტრანაჟო 1 მანეთი და ლამის მორიგი ორი ამწყობისაც თითოსი 70 კაპ., და შედგება:  $8,96 + 2,40 = 11$  მ. 36 კაპ.

ნომრის აწყობა-გასწორება და შეკვრა ჯდება 11 მ. და 36 კ. და უნდება  $56 : 8 = 7$  ამწყობი.

«კვალის» მოთავსებულია ერთ სტამბის თაბახზე—16 გვერდზე. გვერდი შეიცავს ორ სვეტს, სვეტშია 57 სტრიქონი, სტრიქონის სიგრძეა 5 კვადრატ ნახევარი და შეიცავს 55 ასოს. წერი შეადგენს:  $55 \times 57 \times 32 = 100.320$  ასოს—უნდა ვიანგარიშოთ 100 ათასი. ეღირება:  $16 \times 100 = 16,00$  მან. დაუმატოთ სამეტრანაჟოც 2 მან. და შედგება:  $16 + 2 = 18$  მან.

ამნაირათ, თითო ნომრის აწყობა-გასწორება და შეკვრა ღირს 18 მან. და მოუნდება  $100 : 8 = 12\frac{1}{2}$ , ე. ი. ორი დაოსტატებული ამწყობი და ერთი შევირდი, რადგან «კვალის» კვირეული გაზეთია და ხუთ დღეში უნდა დამზადდეს დასაბეჭდათ (გაირჩეს, აიწყოს, შეიკრას გვერდებთ და გასწორდეს კორექტურა).

«კვალს» აწყობენ უფრო დაკლებულ ფასათაც, რადგან ის, როგორც კვირეული გაზეთი, დღე იწყობა და ღამე ტანჯვა არ ჰქონდება. აგრეთვე იმას აკლდება ლამის მორიგი ამწყობების ჰირაც (2 მან-მდი).

ყველა ზემოთ აღნიშნული გამოცემებისთვის მე ვიანგარიშე ასაწყობი ცალკე—16 კ., სამეტრანაჟო ცალკე—1-დან 3 მ-დე და მორიგი ლამის მუშის ცალკე—60 კ. 1 მ-დე. ეს დაწვრილებითი ცნობები საქირო იყო გარკვეულობისათვის. იგივე გამოვა, თუ ჩვენ ვიანგარიშებთ ათასი ასოს გარჩევას, აწყობას, კორექტურის გასწორებას და შეკვრას 20 კაპეკათ. თან ეს ყველასათვის საადვილოც არის. ეს ნორმა გამომცემლებისთვისაც სახელმძღვანელო იქნება, და ძალიან გაადვილებს საქმეს.

რაც შეეხება ბეჭდვის საფასოს, ეს არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენი ასო და სხვა მასალა უნდება და ან რამდენ ვეზემპლიარობით იბეჭდება რომელიმე გამოცემა, რადგან შრიფტი რაც მეტჯერ გადაბრუნდება მაშინაში, იმდენათ უფრო მალე იყეჟება (ასო ერთ მილიონჯერ გადატრიალების შემდეგ მაშინაში ვეღარ გამოდის კარგათ და გამოცემა უნდა). თფილისის გამოცემები იბეჭდება 600-დან 3.000-მდე. მხოლოთ ერთი იბეჭდება 7.000-მდე. ამის მიხედვით ბეჭდვის ფასიც აწყობის ფასის ნახევრიდან აღის მთელ აწყობის ფასამდე. აღმატებით კი არ აღემატება.

ყოველი მხრით დიდათ საქიროა, რომ სტამბის მუშაობაზე დაწესდეს საზოგადოთ გადაჭრილი სასყიდელი. ასოთამწყობი.

ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა .

(Das Gewerbe in Georgien unter besonderer Berücksichtigung der primitiven Betriebsformen von dr. Philipp Gogithschayschvili).

(დასასრული. — იხ. № 29).

მეტათ საინტერესოა, როგორ განვითარდა საქართველოში კარნაჟიტილი საოჯახო წარმოებიდან ანუ Hauswerk-იდან მუშაობა ჰირაზე ოჯახშივე (Lohnwerk) და ამ უკანასკნელიდან წარმოება ბაზრისთვის (Preiswerk). სამწუხაროთ, ამ კითხვების გამოსარკვევათ სავალო მასალა არ ქონია ავტორს ხელში და ამიტომ იმულებულია მარტო ჰუმორისტული განმარტებით დაკმაყოფილდეს. საშინაო წარმოების ბატონობა რომელიმე ერის ცნოვრებაში, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ უოველ ოჯახს შეეძლოს ყველა თავისი მოთხოვნილება თავისი ნაწარმოებით დაკმაყოფილოს, არ ნიშნავს, რომ აქ ცოცხადენ სპეციალიზაციასაც არ ქონდეს ადგილი. მაგალითათ, რაჭაში, სოფ. წედისში, არის რკინის მადნები და იქაური გლეხები ამ რკინის ამუშავებენ. აქ ადგილობრივი ნიადაგის ხასიათს აქვს მნიშვნელობა. მაგრამ, საზოგადოთ კი უმთავრესი მოთხოვნილებები კმაყოფილდება შინაური ნაწარმოებით. შემდეგ კი ტექსტილის განვითარება და მოთხოვნილებათა ზრდა შეუძლებლათ სდის ასეთ დაკმაყოფილებას. ზირკვლათ, ასეთ შემთხვევებში, მეზობლების დახმარებით სარგებლობენ (ნადი), თუ თვით ოჯახის წევრები არ არიან სავალოთ დასულოვნებული რომელიმე დარგში; ინმარებენ იმათ, ვინც უფრო დასულოვნებულია, და რადგანაც ასეთ დასარებაში ეს დამხმარებები უფრო და უფრო იწვრთნიან თავის სელობაში, ყველა მეზობლები მათ შემწეობით სარგებლობენ და საფუძველი ედება სპეციალიზაციას. ამნაირათ ტექსტილის განვითარებაში არა მცირედი დავალი მიუძღვის ნადს. ის ზირკვლი ნაბიჯია ჰირაზე მუშაობისა. მეორე ფაქტორი ამ ფორმის შრომის წარმოშობისა, ავტორის აზრით, უნდა იყოს ბეგარა ასალი თეორიით(?) (კ. ბიუსერი) ბეგარა ნადიდან განვითარდა, და ამ აზრის დამტკიცებას ქართულ წყაროებშიაც ვხვდებით (ავტორს არ მოეხსენიებია ამის დასამტკიცებელი ფაქტები). მაგალითათ, სამეგრელოში ბეგარას დღესაც ნადს უწოდებენ, თუმცა, რასაკვირველია, დიდი განსხვავება ნებაყოფლობით დახმარებასა—ნადსა და იმულებითი ბეგარას შუა. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, ჰირაზე მუშაობა საქართველოში ბეგარიდან განვითარებულია; ამის ნებას არ ვკამდევს წყაროები; ჩვენებურ მებატონეებს არ ყოლიათ სსსსსსსსს სპეციალისტი სუროები, დურგლები და სხვა სელოსნები (ავტორი აქ ცვლება: ჩვენ მება



ტონეთ ვეკლასები ეყვანათ). იმ წარმოებათა უმრავლესობა სარგავი შრომა მიღებული, განვითარდნის პირდაპირ ქალაქში. წყაროები არ გაძლევენ საშუალებას ავსნათ, როგორ განვითარდა საშინაო წარმოებიდან შემდეგი ფორმები.

ვიცით მხოლოდ, რომ მეთრამეტე საუკუნეში ვალატი-ზები, სურბები, იეპიქები, მკერვალები და სხვ. გადიოდნენ სა-მუშაოზე გარეთ.

მეცხრამეტე საუკუნეში ხელისხნის რიცხვი შესამჩნევად იმატა. გარდა შემოტანილი საქონელი მდინარე უშლის ხელს ხელისხნის, მაგრამ მათი უმრავლესობა მანერ ვერ საკმაოდ უზრუნველყოფილია. ამას უწუბს ხელს ფაბრიკებისა და სა-ვადების სიმცირე.

ახლა საქართველოში არის სამი დარგი ხელისხნისა:

- 1) გარეთ მუშაობა (Stör, отхожие промыслы);
- 2) წარმოება შინ (Heimwerk);
- 3) წარმოება ბაზრისთვის (Preiswerk).

რომელ შემთხვევაში რა დარგი იკიდებს ფეხს, დამოკიდებულია შემდეგი პირობებისაგან:

1) მხმარებელის მუხრუბისაგან. რამდენათ ფართოდ მუხრუბობა, იმდენათ უფრო სჭირდება სხვისი შრომის დაქარაზებას.

2) დაუძულებელი მასალისა და შრომის ნაყოფის თვისებისაგან. მხმარებელი არ გასცემს შინ დასამუშავებლათ ისეთ მასალას, რომლისგან მოპარვა ავიდეს.

3) წარმოების ტენიანობისაგან. თუ წარმოებაში ძნელათ გადასატანი იარაღებია სჭირთ, მაშინ შინ მისცემენ დასამუშავებლათ (წისკილი, ქსოვა, მჭედლობა და სხვ.). ავიდეს გადასატანი იარაღები ვი ხელს უწუბენ გარეთ მუშაობას.

4) მწარმოებელის კაპიტალის რაოდენობისაგან. რამდენათ მეტად ძირის თანხა, იმდენათ უფრო მალე ითვისებს შინ წარმოების ხასიათს; რამდენათ ნაკლებია, იმდენათ ძირის თანხა მხოლოდ ერთ-ერთი ფაქტორთაგანია, რომელიც გვისხნის ხელისხნის რომელ დარგს მოკიდებს ხელს მწარმოებელი, შინ თუ გარეთ მუშაობს, მაგრამ აქ გამოურყვეველი რჩება ვითხვა - რატომ ესა თუ ის პირი მუშაობს ქარაზე და არა ამ-ზადებს საქონელს გასაყიდათ. გადაწყვეტი მნიშვნელობა აქ მოძრა კაპიტალს აქვს. თუ იგი სჭირთ არ არის, ან სჭირთა ძლიერ მცირე. მაშინ ბაზრისთვის ამზადებენ საქონელს.

შემდეგ ავტორს მოუყვას საინტერესო ცნობები ხელისხნის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ საქართველოში (ქუთაისის და თფილისის გუბერნიისაში); საჩვენებლობს გუბერ-ნატორების ანგარიშებით.

ხელისხნები. ქარალები. შეკრებები. სულ.				
ქალაქებში არის	5,338	3,779	4,042	13,159
სოფლებში »	7,771	4,786	4,979	14,536

ხელისხნები შეადგენენ 1,35% ვეკლას მცხოვრებლებისას (2.055.636).

წრილი ხელისხნობა არის განსაკუთრებული თვისება საქართველოს ხელისხნისა. ერთიანი ნაწარმების გაყიდვა სდება 1) ან დუქნებში და სახელისხნობებში, 2) ან დამატარებ-ლებით და ან 3) იარაღებში (წლიური და კვირული).

დამატარებლები უფრო ხდება აღმოსავლეთ საქართველო-ში, იარაღები დასავლეთში. ამის მიზეზი, შეიძლება, მო-სახლეების სხვა-და-სხვაობა იყოს. აღმოსავლეთ საქართველო-ში გლეხები შეუგუწულათ არაან დასახლებული, დასავლეთში ვი უფრო დამატარებელი არაან ერთმანეთზე.

ამქრები. როდის აქვთ არის საქართველოში ამქრები,

არ ვიცით, ვიცით მხოლოდ, რომ მეხვიდმეტე საუკუნეში ამ-ქრები იყვნენ თფილისში. ამქარი, როგორც თფილისში, ისევე გარეუბნებს, სწავლიდან უნდა იყოს გადმოღებული. მართლ-გამკობა ამქრების საქმეებისა ახლა ემორჩილება 1867 წლის კანონს, მანამდინ ვი ადრის ემორჩილებოდა. ქუთაისის გუ-ბერნიისში 1883 წლიდან შემოღებულია ხელისხნის შემოკლე-ბული გამოკობა.

უგანსხვებლ თავში ავტორი გვისატყვას საქართველოს კი-პიტალისტურ მრეწველობას.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდან მეტად განვითარდა საქართველოში ვაჭრობა, უცხო საქონლის შემოზიდვამ გან-ვითარა მოთხოვნილებანი, მისკლა-მოსკლის განვითარებამ სე-ლი შეუწყო სოფლის მეურნეობის ნაწარმოების გაყიდვას. მო-თხოვნილების განვითარება, საშინაო წარმოების დაცემა და გარდასახდის მომტება ვითარებენ ფულის სჭირების გლე-ხისთვის და მათ ის დამოკიდებული სდება ჩარჩებისაგან, რად-გან სხვა საშუალებას არ აქვთ. ჩარჩების ბრტყელება და მიწის სიფიწროვე ამოუღებს გლეხს ოკუპას გარეთ ემიოს საშოვარი და სოფლიდან ქალაქი მიერკება, ბერო მათგანი სამედიდოთ შორდება მამა-პაპეუდს და ქალაქში რჩება. ამნარათ ხელხელა იბადება პოლიტიკური ავიდობრივ და მას კმატება კავკა-სიის სხვა კუთხეებიდან და შიდა რუსეთიდან მოსულებიც. აქ ავტორს მოყვას სოკოეთი ცნობები ქარხნების და მუშების რაოდენობაზე საქართველოში, მაგრამ რადგანაც ეს ცნობები სრული არ არის, ამიტომ ჩვენ აქ აღარ მოვუყვას. დასასრულ შევამზავთ, რომ მრავალი ვითარება საქართველოს წარსულ კვანძში ირ და აწინდელ ვითარების შესახებ მხოლოდ დასმუ-ლია და არა გადაჭრილი. ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ავტორს ხელში არ ქონია ამისთვის სჭირთ წყაროები და მასალა. ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის მეტად საინტერე-სოა ბ. გოგინიშვილის შრომა ქართულ ენაზედაც დაბე-ჭდოს.

ქუთაისის გარეუბნები.

სარჩებელი საზღვრით წარს შემოიღო «ცნობის ფურ-ცელმა» როგორც ვი მასი მეცნიერების გადასინჯვას შეუდგე-ბა ვინმე, მაშინვე მწერლობის ხნობის დარგას იწუებს და ამით უნდა აუბას მეითხველს თვალი: ჩვენ მეცნიერული მსჯე-ლობა გვაქვს, ჩვენი მოზინდაწიე ვი «უძღურების სიბრ-ხით» ლანძღვა-განების მეტს ვგარათვას ახერხებლო, გაიძა-ხის ის. ასეთი სურსათის მიუმატავს ახლა ჩვენ გარეთში და-ბეჭდილი «ისტორიული მატერიალისმის» ავტორის წინააღ-მდეგაც. მაგალითებიც მოყვას ამ «მეცნიერ» გარეთს: «ბ. მა-სარაძე ამბობს: უბედი, ვაბედედი და რისიანი უვიცობა მო-გავტონა ვორჯაძის წერილებში». აი, ეს არის თურმე ის მოამკვიდრებელი ცოდვა, რომელიც ჩუენია «კვალს» და რომ-ლის გამო სამი დღეა ბ. ვორჯაძე ქადაგათ ქრეულა! მერე რა არის აქ ასეთი საკვირველი ან დასაგმობი? ჩუ თუ ის, რომ ჩვენ საგანს და მოქმედებას სიმედილ სახელს ვუწოდებთ? არა გვგონია. ამის ნება ვეკლას აქვს, ვეკლას საჩვენებლობს ვადეც მით და ვაკვირს. რათ გვართმევს ამ უფლებას «ცნობის ფურ-ცელი!» შეიძლება ბ. ვორჯაძე მეცნიერთა მეცნიერიც იყოს, შეიძლება ჩვენ ვრდებოდეთ, მაგრამ გვგონია, რომ ვორჯაძე თავის წარსლებში სრულ უვიცობას ჩეხს ამ ვითხვის შესე-სებ, რომელზედაც ლანძღვი მოსურვებია, თან მეტად ვაბე-დეულათ, რისიანათ ლანძღვობს, და ამას ვუწოდებთ ყბედ, ვა-ბეუულ და რინიან უვიცობას. თუ არ უბედი უვიცი, რა ვუ-



წოდებით ისეთ მწერალს, რომელიც საქართველოში «მოკრულ-ობითი საისტემის» შემოღებას ქადაგებს, რომელიც მარქსის სოციალდემოკრატიული თეორიის ერთი ხელის მოხმით აქრულდება, მაგრამ რომელსაც მისი მიმართულება «არ უშლის ხელს მიიღოს მისი (მარქსის) სოციალდემოკრატიული კონკრეტული განმარტება, როგორცაა, მაგალითად, შრომის და კაპიტალის წინააღმდეგობის კითხვა და ამ წინააღმდეგობის გაუქმებისათვის შრომის განსახიზღვრების საჭიროება». და ეს უკანასკნელი არ უშლის მანც «საერთო მოქმედებაზე» უქადაგოს არ ანტიკონსტანსი?

რაც შეეხება ბ. ჯორჯაძის გულწრფელობას, ჩვენ უკვე გვქონდა ნათქვამი, რომ მისი გულწრფელობა გვწამს, არ გვწამს მხოლოდ მისი აზრების სამართლიან-საფუძვლიანობა და ამას ვაქტივით უარსდებთ; ამ მოსაზრებით გამოგვიჩვენა მისი ნაწერებიდან პრაქტიკული დასკვნები და იმათი დაფასებით გრძობდებით, რომ ჯორჯაძის «გულწრფელი სურვილები» და საქმე დაშორებული არიან. ამაზე, მხოლოდ ამაზე საჭირო მსჯელობა და «ცნობის ფურცლის» სისხარული და წინასწარ-მეტყველება ნაადრევია. ფრანგული იტყვიან: «il rit bien, qui rit le dernier»-ო, და ჯობს მომავალს მივანდოთ სიცილი.

ჯორჯაძე სწორად იტყობს, რომ მას «ჩვენი ხალხის და საზოგადოების ხალი ნაწილის იმედი აქვს» (№ 1508), რომ «ხალხი თვით გააჩნის, თვითონ გაიგებს, ვინც არის მისი მტერი და ვინც - მოყვარე» (№ 1528). ჩვენ სრულიად ვუთანხმებით ამ აზრს და გვიკვირს, რათ ჭირდება «ცნობის ფურცლის» პუბლიცისტს ყოველ კვირაში თავისი ვინაობის გამოკრეკვა, მტერიცა, რომ იგი არის ხალხის მოკეთე!

ბუკს ქადაგებს ბ. ჯორჯაძე სალიტერატურო წინააღმდეგობის და ზნეობის შესახებ და სწორად ამ ვითარებაზე მსჯელობაში დასაჯობს თვითონ მათ კანონებს. ბ. ჯორჯაძის უკანასკნელი წერილი მარტო ბუხლობიდან შედგება, «ცნობის ფურცლის» ჩვეულებრივი მარგალიტებიც საკმაოდ არის შიგ. მისი მოპირდაპირე პუბლიცისტები (რასაკვირველია. «კვადის») «ცრუ. ცილისმწამებელი, შურისნები არიან», ისინი საზოგადოებამ უნდა «ჭეძოს, ვიცხოს და სდევნოს» \*). ასეთია ბ. ჯორჯაძის მანიფესტი, ასეთია მისი ზარალი! და აი ამისთანა გაცი გვიკვირებს ლიტერატურული ზნეობის შექმნას! დაამოკრება რითიმე ბ. ჯორჯაძემ თავისი ბზალდობა? კერძო და კერძო დაამტკიცებს კერძოდ, რადგან ჩვენ მისი ნაწერებიდან ნამდვილი, შესაძლებელი დასკვნა გამოგვიჩვენა. «ვისეთი პატივი ბუჭვითი სიტყვასო», გაიმძის «ცნობის ფურცლის» დეკემბერი (№ 1526), და ყველაზე უწინ თვით უარყოფს თავის სიტყვებს თავის მოქმედებით. ჩვენ სიამოვნებით ვგვებებით ამ მოწოდებას, მაგრამ უნდა დავძინოთ, რომ მეცნიერებასაც უნდა პატივისცემა, მისი ნაწერები კი მეცნიერებისადმი სრულ უპატივმყოფელობას წარმოადგენენ... მაგრამ ვმარა ამაზე.

რაც ჩვენი ბზალია, თუ მისი ნაწერებიდან ისეთი არა სისამოვნო დასკვნები გამოდის, რომ თვითაც არ უყვდება. რაც შეეხება მის საზოგადოების დასაინებას, ეს ჩვენ ვერ შეგვიშინებს და ვიმეორებთ, ყოველთვის ვეცდებით ამა თუ იმ მწერლის ნაწერებიდან ნამდვილი დასკვნა გამოავიყვანოთ.

\*). იხ. „ცნ. ფურც.“ № 1528, გვ. 1, სვ. 1.

წერილი რედაქციის მიმართულებით გასეთ «კვადის» 27 ნომერში კონკრეტულად ბ. ჯორჯაძის აზრებს რა ჩემ მიერ გამართულ კონცერტს ჭიათურის სახალხო თეატრში 24 იანვარს, სსკათა შორის ამბობს: ქობინს სადღაც მოეგონებინა სორო ათი ვაცისაგან შემდგარი, რომელთაც ცუდათ აღასრულეს სამღერებო. ამაზე კონკრეტულად უნდა ვუხსნათ, რომ მე სოროს სადღაც არ ვაგროვებ; მხოლოდ ვაგროვებ იქ, სადაც საზოგადოებრივ ცხოვრებას მჭირს; სმებს უკანაში, ვასწავლი სამღერებს ნოტების საშუალებით და როდესაც ვაგროვებ მოვამზადებ გამოცემას სტენოზე. ამ გვარი ჩემი დიდასიდან მოქმედება ყველამ იცის თბილისში, ქუთაისში, ოზურგეთში, სადაც ყოველთვის ყველასაგან მოწონებული ყოფილა ჩემი სორო და მის მიერ აღსრულებული კონცერტი. მაგრამ სამწუხაროდ ჭიათურაში მოულოდნელად შემთხვევამ შეასუსტა ჩემი კონცერტი. რთი პირველი ტენორები მიღვარის სმებისა დამით მოგზაურობაში გაცივდენ და სმა დაკრებს ისე, რომ კონცერტში სმა ვეღარ ამოადეს. დაჩნა ერთი ტენორი, რომელმაც კერ გაუთანასწორობა სმის ძალა შეიღ კაცს და კონცერტიც გამოვიდა სუსტი და არა «ცუდი», რადგანაც მწუხარობა რთიმულ მოძრაობაში სმებს არ დაურღვევია. საზოგადოებამ, როგორც მსჯეულმა და დამფასებელმა, მაქცია უარსდებდა შემთხვევით მოულოდნელ ნაკლს, მაგრამ მანც საკმაოდ დააჯილდოვა სორო ტემის ცემით და რამდენიმე სამღერების განმეორებით. ფილიპონ ქორიძე.

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი .

ქართული დრამატული საზოგადოების» ვამგეობა აცხადებს, რომ იგი ჰნიშნავს **ორს პრემიას**

**200 მან. და 100 მან.**

ქართულ დრამატულ ნაწარმოებთა დასაჯილდოებლად.

პრემიის პირობები შემდეგია:

- 1) საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალური, დაუსტამბავი და სცენაზე დაუდგმელი;
- 2) პიესა უნდა შეიცავდეს სამს მოქმედებაზე არა ნაკლებს;
- 3) პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატულ საზოგადოების“ გამგეობის სახელზე რაიმე დევიზის ზედწარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილი იყოს დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი;
- პენი შენა: კონკრტი გაისხნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პიესა ცნობილ იქნება ჟილდოს ღირსად.
- 4) პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვალა თავდება 1 ოქტომბერს 1902 წლისას;
- 5) „დრამატულ საზოგადოების“ გამგეობას ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოვებული პიესის წარმოდგენისა სცენაზე;
- 6) დაჯილდოვებული პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარათ თითოეული წარმოდგენის მთელი შემოსავლის 5 პროცენტი.
- 7) შედეგი კონკურსისა გაზეთებში იქნება გამოცხადებული.

(3-2)